საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი-კვირა, 12-14 აგვისტო. 2022 წ. №117-118 (9455-9456) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკალტისიბაგზე ესაძაგლესია.

901

1021 2022

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი შაშჭამონ მტრისანი...

მახვილი მესიისა ⑤

მერაბ ბერძენიშვილმა თავისი დიდგორი მოიგო!

დავდგათ დიდგორზე დავით აღმაშენებლის ძეგლი



ჩვენს გამოჩენილ მოქანდაკეს, ქართველ მიქელანჯელოდ აღიარებულ მერაბ ბერძენიშვილს, როგორც იტყვიან, გულის ფიცარზე ჰქონდა ამოტვიფრული დიდი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის სახელი. იგი ყოველთვის ცდილობდა დიდგორის მეომართა ღირსეული შთამომავალი ყოფილიყო და საკუთარი შემოქმედება 1121 წლის 12 აგვისტოს „ძლევაი საკვირველის“ ტოლფარდი ძეგლებით დაემშვენებინა... ახლა როცა დიდი მოქანდაკე აღარ არის და მისი შემოქმედების მთავარ თემატიკას გონების თვალს ვავლებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დროის დიდგორის ომი ამ სახელოვანმა შემოქმედმა ერთმნიშვნელოვნად მოიგო! ამ უიშვიათესი ნიჭით და შრომისმოყვარეობით გამორჩეულმა მოქანდაკემ, უდიდესი პროფესიონალიზმით და პატრიოტიზმით გამორჩეულმა მამულიშვილმა თავისი მონუმენტური „დავით აღმაშენებელი და დიდგორის გმირთა მემორიალი დაგვიტოვა და ამით უკვდავყო ცხრა საუკუნის წინანდელი ჩვენი ეროვნული გმირობა, ქართველთა ყველაზე დიდი გამარჯვება.

ქართველი მიქალენჯალო ხშირად მეუბნებოდა, რომ დავით აღმაშენებელი ჩვენგან სადიდებელია არა მხოლოდ თავისი სახელოვანი მეფობით, არამედ თავისი დიდბუნოვანი, შემწყნარებლური კაცობითაც.



ამიტომაც მერაბ ბერძენიშვილის მიერ მრავალი წლის განმავლობაში ნალოლიავები საქართველოს კულტურის ფონდის გამგეობას და ბერძენიშვილის ეროვნული შემოქმედების თაყვანისმცემლებს სამართლიანად მიგვაჩნიათ, რომ ქვეყნის ხელისუფლების, ქართველი საზოგადოების წინაშე დავსვათ ერთი საქმიანი წინადადება: **იქნებ მოხერხდეს და დიდგორის მემორიალზე, მხატვარ-არქიტექტორთა მიერ შერჩეულ ადგილას, აღიმართოს მერაბ ბერძენიშვილის თბილისში უკვე არსებული ძეგლის — დავით აღმაშენებლის ასლი.**

გულწრფელად გვჯერა, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლი, ვითარცა აფხაზთა, კახთა, სომეხთა, რანთა, სვანთა და უდიმართა მეფისა, მთელ საქართველოში უნდა იდგეს!

პირველ რიგში დიდი მეფის ძეგლი უნდა იდგეს დიდგორის მთაზე, ბერძენიშვილის მემორიალის გმირთა წინამძღვრად!

პატივისცემით

თამაზ შილაკაძე,

აკადემიკოსი, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე.

„შინდისის“ გმირების თავდადება სამაგალითოა!

„14 წელი შესრულდა აგვისტოს ომის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და გამორჩეული გმირობის ისტორიიდან — შინდისის ბრძოლიდან. დღეს სრულიად საქართველო კიდევ ერთხელ მიაგებს პატივს ბრძოლაში გმირულად დაცემული 17 ქართველი მეომრის ნათელ ხსოვნას. სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მათი თავდადება მუდამ დარჩება ჩვენი თანამედროვე ისტორიის საამაყო მაგალითად, რომელზეც მომავალი თაობები გაიზრდებიან“.

ირაკლი ღარიბაშვილი



გმირთა მონუმენტი სექტემბერში გაიხსნება

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის განცხადებით, შინდისის გმირების მონუმენტის გახსნა სექტემბრისთვის იგეგმება, ხოლო მუზეუმის მშენებლობა უახლოეს ხანში დაიწყება.

ჯუანშერ ბურჭულაძემ გუშინ შინდისის ბრძოლის 14 წლისთავთან დაკავშირებით გვირგვინით შეამკო მემორიალი და შინდისის ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგო.

„2008 წელს სააკაშვილს თავისი გეგმები შეთანხმებული არ ჰქონდა მთავარ სტრატეგიულ პარტნიორებთან, რაც გამოუსწორებელი შეცდომა იყო“ ③

სრულიად ქართველთა და უცხოელთა უპირველესი „დიდგორის ტური“ ④

დავით ზარდიაშვილი:

ნაცობა, როგორც მოვლენა, უნდა ამოიძირკვოს! ②

მე, მაგალითად, სააკაშვილს დავსჯიდი ისე, როგორც ბერლუსკონია დასჯილი. მას მისჯილი აქვს სასჯელი საზოგადოებრივი სამუშაოების სახით. ყოველ დილას ბერლუსკონი მიდის, ცოცხს დაიჭერს და ქუჩებს ხვეტს. ასეთნაირად შეიძლება ყოველ დილას სააკაშვილი გამოვიდეს. თუ სერიოზულად შევხედავთ ამ საკითხს, ვერავითარი პოლიტიკური მიზანშეწონილობით სააკაშვილი ვერ გათავისუფლდება, რადგან მის მიმართ მყარი სამართლებრივი მოცემულობა არსებობს, ის მსჯავრდებულია, რომლის ადგილიც ციხეშია, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი.

დავით ზარდიაშვილი:

ნაცობა, როგორც მოვლენა, უნდა ამოიძირკვოს!

– თავის დროზე თქვენ წამოაყენეთ იდეა, რომ სააკაშვილი პატიმრობიდან შეიძლება გათავისუფლებულიყო იმ დათქმით, რომ ქართულ პოლიტიკას შეეშვებოდა და, თუკი მისი ბუნებიდან გამომდინარე, ამ პირობას მაინც დაარღვევდა, სოლიდური ჯარიმა დაეკისრებოდა. როგორც ჩანს, სააკაშვილის ადვოკატებმა თქვენი რჩევა „გაითვალისწინეს“ და დაცვის სტრატეგია ამ ვერსიაზე ააგეს. რამდენად სწორად შერჩეული სტრატეგიაა და ვის სჯერა, რომ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკას შეელევა?

– ეს არის მისი ადვოკატების მხრიდან გაუგებარი სტრატეგია, რადგან სააკაშვილის გათავისუფლებას სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, გარდა ერთისა, თუკი პრეზიდენტი მას შეიწყალებს. პრეზიდენტის მხრიდან კი ეს ნაბიჯი ნაკლებად მოსალოდნელია. ამიტომ ყველა ასეთი ვერსია, თითქოს სააკაშვილი პოლიტიკას თავს ანებებს, სპეკულაციაა. ცხადია, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შეიძლება განხილულ იყოს მისი გათავისუფლების საკითხი. პოლიტიკურ მიზანშეწონილობაში ვგულისხმობ, რომ რაღაც გარანტიების სანაცვლოდ, რომ ის ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობას აღარ მიიღებს, შეიძლება სჯობდეს კიდეც სააკაშვილის გათავისუფლება, ვიდრე ის, რომ სააკაშვილი გვყავდეს ციხეში, მუდმივად აწუხებდეს საზოგადოებას, არეულობას და მუდმივ დესტაბილიზაციას იწვევდეს.

– მაგრამ თქვენ მაშინ ერთ-ერთ გარანტორად განიხილავდით ფულად კომპენსაციას. ქართულ პოლიტიკაში ისევ ჩართვის შემთხვევაში, თუკი მას სოლიდურ თანხას დააკისრებდნენ, ის ნამდვილად გახდებოდა აპოლიტიკური, თორემ ასე სიტყვაზე მისი ნდობა და იმის დაჯერება, რომ ქართულ პოლიტიკას დაეხსნება, შეუძლებელია.

– კი ბატონო, შეიძლება ფულადი დათქმის ჩადება ამ გარანტიებში. თუმცა პოლიტიკური მიზანშეწონილობა რომ რაღაც გარანტიებში გაცვალონ, ამას სამართლებრივი საფუძველი სჭირდება. დღეს ასეთი საფუძველი არ არსებობს. ამის პერსპექტივაც არარეალურია. ამიტომ ვამბობ, რომ სააკაშვილის ადვოკატების სტრატეგიას, პოლიტიკურ მიზანშეწონილობაში გადაიტანონ ეს საკითხი, არავითარი გაგრძელება არ ექნება, რადგან სამართლებრივად ყრუ კედელთან გვაქვს საქმე. აქ მთავარია, რომ სააკაშვილი მსჯავრდებულია, მას მისჯილი აქვს, მსჯავრი გამოტანილია, ის დამნაშავეა და, ჩვენი კანონმდებლობით, დამნაშავის ადგილი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაშია.

– სააკაშვილის გამო კანონმდებლობაში ცვლილებები მოსალოდნელია?

– თუ ახლა ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში, ეს არ ვიცი. ცვლილებები შეიძლება გამოყენებულ იქნას მსუბუქ დანაშაულთან მიმართებით. მე, მაგალითად, სააკაშვილს დავსჯიდი ისე, როგორც ახლა ბერლუსკონია დასჯილი...

– ფაქტია, მერაბიშვილმა, ახალაიამ გაცილებით ღირსეულად მოიხადეს სასჯელი, სააკაშვილი კი ციხეშიც პრობლემებს ქმნის. 2024 წლის არჩევნებისთვის „ქართულ ოცნებას“ შეიძლება სჭირდებოდეს სააკაშვილი ციხეში, მაგრამ გამორიცხავთ, რომ თქვენს მიერ ნახსენები პოლიტიკური მიზანშეწონილობა შეიძლება მართლაც დადგეს და სააკაშვილი აღარ დასჭირდეთ პატიმრად?

– რასაკვირველია, ამას არ გამოვრიცხავ. პოლიტიკური მიზანშეწონილობით ამ საკითხის განხილვა ნამდვილად შეიძლება, რომ რა სჯობს ქვეყნისთვის, სააკაშვილის ციხეში ყოფნა, თუ მისი გათავისუფლება?! არგუმენტები არსებობს საკმაოდ წონადი, „გირჩიც“ ასახელებს ამ არგუმენტებს, რომ დეპოლარიზაციისთვის უკეთესი იქნება, თუ სააკაშვილი განერიდება და ბიძინა ივანიშვილი დაუბრუნდება პოლიტიკას, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ სპეკულაციებია. კი ბატონო, პოლიტიკურ სივრცეში შეიძლება მიმდინარეობდეს ამის განსჯა, რა მოხდება სააკაშვილის გათავისუფლების შემთხვევაში, მაგრამ არავითარი პერსპექტივა ამას არ აქვს, რადგან ამაშია მთელი ხიბლი სამართლებრივი სახელმწიფოსი, რომ ვინც რას უნდა ფიქრობდეს, ან რაზეც არ უნდა მსჯელობდეს, სამართალი უნდა აღსრულდეს, არავითარი საშუალება არ არსებობს, ვინმე სამართალს გადაახტეს. რომაული სენტენცია – აღსრულდეს სამართალი და თუნდაც დაიქცეს სამყარო, ეს არის ყველაზე მთავარი. სამართალი ამბობს, რომ სააკაშვილი უნდა იჯდეს ციხეში. ამიტომ ამის განხილვას შედეგი არ ექნება.

– სააკაშვილის თავგადაკლული მომხრეები დღემდე მიიჩნევენ, რომ საქართველოში ჩამოსვლით მიშა გოლგოთის გზას დაადგა, განიცადა ღალატი, დამცირება, ყველა ტკივილი გადაიტანა... თუკი სააკაშვილი წავა პოლიტიკიდან, „ნაცმოძრაობის“ დაშლის შეუქცევადი პროცესი დაიწყება, რადგან მისი პარტია მარტო ერთ ლიდერზე – სააკაშვილზე იყო დამოკიდებული, „ნაცებმა“ ვერ მიიღეს ვერც გრიგოლ ვაშაძე, ვერც მელია, ვერც ნაყოფია ლიდერად. რა პროცესი იწყება „ნაცმოძრაობაში“?

– სააკაშვილის „წასვლა“ პოლიტიკიდან, ეს არის საადვოკატო ტაქტიკა, რომ როგორმე სააკაშვილი დაუსხლტეს სასჯელს. თუკი ის წავა პოლიტიკიდან, მაშინვე შეიქმნება მითები, რომ ის არ წასულა პოლიტიკიდან. დაახლოებით ისეთივე მითები შეიქმნება, როგორც ბიძინას გარშემო, რომ თითქოს ბიძინა არ წასულა პოლიტიკიდან. რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობა“ შეეცდება, ლენინის არ იყოს, ეს თემა გამოიყენოს და დაგვარწმუნოს, ლენინი არ მომკვდარა, მავზოლეუმში დაასვენეს და ის ცოცხალიაო. ასეთ ხატებას შექმნიან სააკაშვილთან დაკავშირებითაც მისი მიშისტი იდეოლოგები და ძალით აცოცხლებენ მიშას. როგორც მავზოლეუმში შენახული ლენინი იყო ბოლშევიკების იდეალი, სიმბოლო, ასევე იქნება პოლიტიკიდან წასული სააკაშვილიც.

– ალბათ, მელიას ჩამოაშორებენ „ნაცმოძრაობას“, რადგან კარგა ხნის წინ დაწყებული ანტიმელიისტური კამპანიის მიუხედავად, ვერ მოუშორებიათ იგი. თაკო ჩარკვიანმა ახლაც არ დაიშურა მისთვის კომპლიმენტები და „დასაჭურისებული“ სტრატეგიული გეგმის ავტორი უწოდა, რომელმაც უნდა დატოვოს პარტიის თავმჯდომარეობა.

– ვერ ვიტყოდი, რომ „ნაცმოძრაობის“ დაშლა გარდაუვალია, რადგან „ნაცმოძრაობა“ საკმაოდ დიდ რესურსს ინარჩუნებს. მათ ბევრი ადამიანი ჰყავთ, რომლებიც ხელფასიანებიც არიან, კარგადაც უხდიან, საკმაოდ დიდი ფული და დაფინანსების წყაროები ისევ აქვთ. ამიტომ ასე მარტივად ვერ დაიშლებიან, ცხადია, რაიმე სერიოზულ შედეგს ვერ მიიღებენ, მაგრამ მათი აქტივობები შენიღბულ ხასიათს და ფორმას მიიღებს, ანუ გადავა ნჯო სექტორში, გადავა მედიაში. ამ სექტორში ისედაც არიან, მაგრამ კიდევ უფრო გაძლიერდებიან. საბოლოო ჯამში, მნიშვნელობა არ აქვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ამ სახით იარსებებს თუ არა, მთავარია, იარსებებს თუ არა ნაცობა, როგორც მოვლენა, როგორც უკუღმართი პოლიტიკური ხედვა, ეს ვაშაძის პარტია იქნება, „ლელო“ იქნება, თუ სხვა პარტია, ან კიდევ, სულ არ იქნება პარტია და იქნება დიღმელაშვილი, მაქარაშვილი, ეს ერთი და იგივე მოვლენაა. ნაცობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ქართულ სინამდვილეში, მაგრამ აქვს. რატომ აქვს? რადგან აქვთ რესურსები და ამ რესურსების გამოყენების უნარი კიდევ შერჩენიათ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

სამშვიდობო ოპერაციებში დაღუპული ან მძიმედ დაშავებული ჯარისკაცების შვილები სასწავლო გრანტით ისარგებლებენ

საქართველოს თავდაცვის ძალებში მოსამსახურე პირები, მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები, დაჭრილი და დაშავებული სამხედროები და მათი ოჯახის წევრები საგანმანათლებლო, კულტურულ თუ სამედიცინო დაწესებულებებში სხვადასხვა პრივილეგიითა და შეღავათით სარგებლობენ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლიდან თავდაცვის უწყებაში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული სამხედროების შვილების გარდა, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში დაღუპული ან მძიმედ დაშავებული ჯარისკაცების შვილები, ასევე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვეტერანები ან მათი შვილები სასწავლო გრანტით ისარგებლებენ.

„სასწავლო გრანტით დაფინანსების მიღების შესაძლებლობა ექნებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტებს.

სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების პროექტზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიცირებული სიახლე, მთავრობის დადგენილებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერის საფუძველზე, უკვე მიღებულია და 2022-2023 სასწავლო წლიდან შევა ძალაში.

ჯარისკაცზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის განათლების მიღების ხელშეწყობა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრად მუშაობის დროს მიღებული გადაწყვეტილებით, სამინისტრო უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სწავლის საფასურის 50%-იან თანადაფინანსებას უზრუნველყოფს, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სწავლის მინიმალური საფასურის - 2250 ლარის ნახევარის დაფარვას. გარდა ამისა, მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის მათ სემესტრულად 750 ლარის ოდენობით „მინისტრის სტიპენდია“ ენიშნებათ“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ღირს დაფიქრებად!

აგვისტოს ომიდან 14 წელი გავიდა. 14 წლის შემდეგ ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე იმ პოლიტიკურ შეცდომებზე საუბრობს, რომელიც იმდროინდელმა ხელისუფლებამ დაუშვა.

ვაჟა ბერიძე: მიშა ისეთი ინდივიდია, ვერავინ აცდუნებს!

„2008 წელს სააკაშვილს თავისი გეგმები შეთანხმებული არ ჰქონდა მთავარ სტრატეგიულ პარტნიორებთან, რაც გამოუსწორებელი შეცდომა იყო“

— აგვისტოს ომის დროს იმდროინდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკურად რა შეცდომები დაუშვა?

— საქართველოს ისტორია არც გვესმის და არც გვიყვარს. სხვა შემთხვევაში გვეცოდინებოდა, რომ ცივილიზაციის არსებობა მნიშვნელოვანწილად იმპერიულ ურთიერთობაზეა დამოკიდებული. როდესაც საჭიროა, უნდა ვეომოთ და ამის მაგალითი აღმაშენებელმა მოგვცა. როდესაც საჭიროა, დიპლომატია უნდა მოვიშველიოთ. სხვათა შორის, ამის მაგალითი ვახტანგ VI ჰქონდა. მას უნდოდა, რომ ამ გზით სპარსეთთან დაებალანსებინა ურთიერთობები. რუსეთთანაც ჰქონდა კონტაქტები. საბოლოო ჯამში, მან მმართველობა წარუმატებლად დაასრულა. შესაბამისად, ჩვენ მორიგ კრიზისში შევედით. მთელი მაშინდელი ელიტა მასთან ერთად ქვეყნიდან გავიდა.

რატომ გავიხსენე ისტორია, პარალელი გავავლოთ თუ რა შეცდომები დაუშვა სააკაშვილის ხელისუფლებამ 2008 წლის ომის დროს. ცხადია, სააკაშვილს ვერ დავაყვედრით და ვერ დავამუნათებთ იმის გამო, რომ მას უნდოდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ეს პოლიტიკოსისთვის და ქვეყნის ლიდერისთვის ჩვეულებრივი მომენტი იყო, რომელმაც 2007 წლის ნოემბრის ამბების შემდეგ უძლიერესი ოპოზიციური მოძრაობა მიიღო. ფაქტობრივად, ლევან გაჩეჩილაძის წინააღმდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში სერიოზული მარცხი განიცადა. ამის შემდეგ, მას ისეთი რამ უნდა გაეკეთებინა, რომ ხელისუფლება გაემყარებინა. ამ ნაბიჯის გადადგმა დააპირა, თუმცა, რაც მან გააკეთა, შეცდომების ერთი დიდი კასკადი იყო. სტრატეგიული პარტნიორები ვერ შეიპირა, მოვლენათა შესაძლო განვითარების შემთხვევაში რა უნდა ექნათ ჩვენს მთავარ მხარდამჭერებს.

— ომის დროს დასავლელი პარტნიორების პასიურობა გამოწვეული იყო მიხეილ სააკაშვილის იმდროინდელი გატარებული პოლიტიკიდან გამომდინარე?

— რუსეთთან მიმართებაში გარვეული პოზიცია დასავლეთს მაშინ ჩამოყალიბებული არ ჰქონდა. ეს ყველაფერი დასავლეთისთვის გასაგები არ იყო. გარდა ამისა, დიპლომატიური მხარდაჭერაც სააკაშვილს სათანადო არ ჰქონია. ამაზე მეტყველებს **კონდოლიზა რაისის** განცხადებებიც, იგივე **ჰილარი კლინტონის** პოზიციაც. სააკაშვილს თავისი გეგმები შეთანხმებული არ ჰქონდა მთავარ სტრატეგიულ პარტნიორებთან, რაც გამოუსწორებელი შეცდომა იყო. სხვათა შორის ვფიქრობ, რომ რუსების შესაძლო რეაქციაც მას სხვაგვარად წარმოედიგინა. რატომღაც ყოფილ პრეზიდენტს არ ეგონა, რომ რუსეთის პასუხი მის ქმედებებზე არ იქნებოდა ასეთი მყისიერი და მკაცრი. სააკაშვილს გარკვეული ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან, ასევე ხვდებოდა პუტინსა და რუსულ ელიტას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არაფორმალური ურთიერთობა ექნებოდა მას რუსეთის სხვადასხვა წრეებთანაც. ყოფილ პრეზიდენტს ეგონა, რომ რუსეთი ოლიმპიადის პარალელურად სამხედრო ოპერაციის ჩატარებას ვერ გაბედავდა. ჩვენ ვსაუბრობთ პუტინზე, რომელიც დიდი იმპერიის აღდგენით არის შეპყრობილი და რომელიც უკან არაფერზე იხევს.

— აქედან გამომდინარე, საქართველოში ომის დასრულების შემდეგ, იმ ლიდერების ჩამოსვლა ფორმალობა იყო და უბრალოდ საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად იყვნენ ჩამოსულები?

— თვალებში ნაცრის შეყრა არ ყოფილა. პოლიტიკურად დასავლეთი გვერდით გვედგა. იმ ლიდერების პოლიტიკური კარიერისთვისაც და მათი ქვეყნების უსაფრთხოებისთვისაც გარკვეული რისკი იყო მათი აქ ჩამოსვლა. ასე ერთმნიშვნელოვნად სააკაშვილს ვერ გადავუვლით და ყველაფერი ცუდი ვთქვათ მასზე, ამას ვერ ვიკადრებ. რა თქმა უნდა, იყო მხარდაჭერა, მაგრამ ეს მხარდაჭერა საკმარისი არ იყო? შეცვალა რამე ამ მხარდაჭერამ? ვფიქორობ, არაფერი შეუცვლია. რუსეთმა აინუნშიც არ ჩააგდო ამ სახემწიფოების ლიდერები. რუსეთმა თავისი გააკეთა და თავის მიზანს მიაღწია.

იმპერიებიდან რატომ წამოვედი — გავიხსენოთ 1999 წლის სტამბულის შეხვედრის გადაწყვეტილება. ამ შეთანხმების საფუძველზე რუსეთმა საქართველოდან სამხედრო ბაზები გაიყვანა, პუტინმა კი შემოაბრუნა და ისევ დაბანაკა საქართველოს ტერიოტირიაზე. ანუ, დასავლეთთან სტრატეგიული რევანში აიღო. ეს მარტო საქართველოს დამარცხება არ იყო. იმ უზარმაზარ შეიარაღებას, რომელსაც ჩვენები ყიდულობდნენ დასავლეთისგან, სხვათა შორის, რუსების ხელში აღმოჩნდა, საქართველოდან გაიტანეს. რუსებმა სერიოზული სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვეს. დღეს, ჩვენი ქვეყნის 22~ აქვთ ოკუპირებული და ამ ტერიტორების დაბრუნების შანსი ჯერ არ ჩანს. აგერ, ათი წელია, ოსებს და აფხაზებს ვეუბნებით მშვიდობიანად უნდა დაგიბრუნოთ, ომი აღარ გვინდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, პოდოლიაკი გვეუბნება, რომ შეიჭერით ცხინვალში და აფხაზეთში. რა ვქნათ, გავწმინდოთ ეს ტერიტორია აფხაზებისგან და ოსებისგან? აქამდე ვეუბნებოდით, რომ თქვენთან არ ვიომებთ და ახლა უნდა შევჭრილიყავით იმისთვის, რომ მოკავშირეებისთვის მხარი დაგვეჭირა?! კი მაგრამ, ჩვენ შეგვეძლო ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარება? გვყავს შეიარაღებული ძალები? ჩვენ გვყავს გმირები, მეომრები, მებრძოლები, მაგრამ კარგი შეიარაღება არ გვაქვს. მაშინ, 2008 წელს ამაზე არ ფიქრობდნენ. იმ დროს სააკაშვილი დეზორიენტირებული იყო. შეიარაღებულ ძალებს თავდაცვის მინისტრი არ ხელმძღვანელობდა და გიგი უგულავა იყო საომარი ოპერაციების კოორდინატორი.

— სწორედ აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელმა უწყების ხელმძღვანელებმა კეზერაშვილმა და ადეიშვილმა სააკაშვილი შეცდომაში შეიყვანეს და ომი წამოაწყებინეს?

— სააკაშვილი ისეთი ინდივიდია, ვერავინ ვერაფერს ვერ წამოაწყებინებს და ვერ აცდუნებს. ის ძალიან კარგად მართავდა პროცესებს. რაც მოხდა, ყველაფერი მის ნებას ექვემდებარებოდა. ამით იმასაც ვამბობ, რომ სააკაშვილი ძალიან ნიჭიერი ადამიანია, რამდენად ადეკვატურია და რამდენად ქვეყნისთვის სასარგებლო იყო და არის, ეს სხვა თემაა. პროცესებს ის თავად მართავდა და რომელი კეზერაშვილი ან ადეიშვილი მოახდენდა მასზე ზეგავლენას? — ეს გამორიცხულია. მას ჰყავდა ხილული და უხილავი მრჩევლები — ერთი მხრივ ბიძა, მეორე მხრივ გლუკსმანი. მათ უფრო უსმენდა, ვიდრე ამ ორ პიროვნებას. კეზერაშვილსა და ადეიშვილს თავიანთი ფუნქცია ჰქონდათ, მაგრამ ის, რომ სააკაშვილი ეცდუნებინათ, არა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არც ის მიმაჩნია ამ ქვეყნისთვის სანიმუშოდ, რომ იმ პიროებებში, როდესაც პარტნიორების თვალში სასამართლოს ნდობა მაღალი არაა, სააკაშვილი ციხეში ზის და საზოგადოებაში აურზაურის საფუძველი ხდება. მესმის, რომ ივანიშვილი იძულებული გახდა ის დაეპატიმრებინა. ბიძინა იმდენად პრაგმატული ადამიანია, რომ ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა, მაგრამ შემოიჭრა და ერთი ამბავი ატეხა, ამიტომ სხვა გზა არ ჰქონდა. ახლა გამოსავლის ძიება ჯობს. ამ საკითხზე ცოტა კომპრომისებზე წასვლაა საჭირო.

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

პოლიტიკური პარტიები — ინდსაქმოსნები თუ ინდმძარცველები?!

როგორი მისაღებია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისათვის ის, რომ მათი ქვეყნის პოლიტიკური პარტიების სრული შემადგენლობა ფაქტობრივად ინდსაქმოსნები არიან? სხვანაირად ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ საქართველოში რეგისტრირებული ყველა პოლიტიკური პარტიის ფასი ამომრჩევლებისთვის სამი კილო კარტოფილის ფასის ფარგლებში იცვლება. ის პოლიტიკური პარტია რომელიც იხდის სამი კილო კარტოფილის ფასს, არჩევნებში იმარჯვებს, ხოლო ის პოლიტიკური პარტია რომელიც ვერ იხდის სამი კილო კარტოფილის ფასზე ნაკლებს, არჩევნებში მარცხდება.

ასეთი, შემაშფოთებლად დაბალი ფასის (რეიტინგის) მქონე პარტიების არსებობა განპირობებულია მათი შექმნის სრულიად მიუღებელი წესით. პარტიებს ძირითადად ქმნიან საზღვარგარეთ განათლებამიღებული, უცხო ქვეყნის მიერ მხარდაჭერილი და ხელდასხმული ფიზიკური პირები, ან დიდი ფულადი სახსრების მქონე ადამიანები. არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიების ხელმძღვანელები ბიუჯეტიდან იღებენ დაფინანსებას, ხოლო უმრავლესობაში მოსული პარტიის ხელმძღვანელები ბიუჯეტს განკარგავენ თავიანთი შეხედულებებით, აშენებენ მხოლოდ იმას, რასაც თვითონ საჭიროდ თვლიან.

არჩევნებში გამარჯვებული ასეთი პარტიები არ და ვერ გაითვალისწინებენ ქვეყნის თუნდაც ძალიან მცირერიცხოვანი საზოგადოების ინტერესებს, რომ არაფერი ვთქვათ კლასის ან ხალხის ინტერესებზე.

ასეთ პარტიებს არ გააჩნიათ პარტიის წესდება და პროგრამა. მათი პოლიტიკური დღის წესრიგი ძალიან პრიმიტიულია: ისინი მიდიან დასავლეთისკენ, დასავლური ფასეულობებისთვის, ხოლო თუ რომელიმე მოქალაქე არ გაყვება დასავლეთის ვექტორს, ის აღმოჩნდება რუსეთის ორბიტაზე. მედასავლეთეებს წარმოდგენა არა აქვთ და არც სურვილი, გაიაზრონ, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას აქვს საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომ შეუძლებელია ქვეყნის ინტერესები სრულად ემთხვეოდეს სხვა ნებისმიერი ქვეყნის ინტერესებს.

დღეს ევროგაერთიანებები ითხოვენ ჩვენი პარტიებისგან დეპოლარიზაციას. უნდა გავიხსენოთ რომ, სახელისუფლო და ოპოზიციურ პარტიებს სრულიად ერთი და იგივე იდეოლოგია აქვთ; ე.ი. მათ შორის პოლარიზაცია არ არსებობს. ის დაპირისპირება სახელისუფლო და ოპოზიციურ პარტიებს შორის, რომელიც შესაძლებელია სამოქალაქო ომში გადაიზარდოს, გამოწვეულია მხოლოდ მათ მიერ ქვეყნის მართვის სურვილით. ოპოზიციის მტკიცებით, „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანა მართა 10 წლის მანძილზე, ახლა ის ვალდებულია, წავიდეს და ადგილი დაუთმოს ოპოზიციას (არჩევნებში ქვეყნის ამომრჩეველი ვის აძლევს ხმას, ამას მათი აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს).

ასეთი გაერთიანებები (ვითომ პარტიები), რომლებიც თავიანთი შინაარსით ინდსაქმოსნები (იქნებ ინდმძარცველები) არიან, შეურაცხყოფენ საქართველოს ამომრჩეველს. ისინი არღვევენ მიღებულ კანონებს და კონსტიტუციის მუხლებს: თავის დროზე საქართველოს კონსტიტუციაში ეწერა, რომ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი არის საქართველოს პრეზიდენტი“. რუსეთ-საქართველოს ომში, როდესაც დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, არავინ არ მოითხოვა, პრეზიდენტისთვის მოეთხოვათ პასუხი.

მსჯავდებულ პრეზიდენტს დღესაც არავინ სთხოვს პასუხს ამ დანაშაულისთვის.

აუცილებელია, ხელისუფლებამ სასწრაფოდ მიიღოს კანონი პარტიების შესახებ. უნდა დადგინდეს, მუდმივად საწევროს გადამხდელთა ის მინიმალური რაოდენობა, რომლის საფუძველზე გაერთიანება ჩაითვლება პოლიტიკურ პარტიად. უნდა აიკრძალოს ცალკეული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ პარტიების დაფინანსება.

ასეთი კანონის მიღების შემდეგ პარტიები იბრძოლებენ ჩვენი ქვეყნის იმ მოქალაქეების ინტერესებისათვის, რომლებიც მათი მუდმივი საწევროს გადამხდელები არიან, რაც ჩვენი ქვეყნის აღორძინებისთვის ბრძოლაც იქნება.

ნუგზარ კობახიძე

წინ – წინაპრებისკენ!



სრულიად ქართველთა და უცხოელთა უპირველესი „დიდგორის ტური“

5 აგვისტოს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების, ფაზისის აკადემიისა და კავშირ „გიორგის“ გაერთიანებულმა ექსპედიციამ დიდგორის გრძოლის, ,,ძლევაი საკვირველის“ 901 წლისა და დიდი დავით აღმაშენებლის გამარჯვების აღსანიშნავად მოიარა 120 -კილომეტრიანი მარშრუტი, რომლის გამეორება – შემოვლა-შეცნობა ყველა ქართველის, განსაკუთრებით ახალი თაობისა და საქართველოს ყველა მოამაგის ვალია!

ეს მარშრუტი ფარნავაზიდან დიდგორამდე 15 და დიდგორის შემდეგ 9 საუკუნის განმავლობაში საქართველოში განვითარებული უმნიშვნელოვანესი მოვლენების, თანამემამულეთა საგმირო საქმეებისა და წინაპართა საკვირველი ცხოვრება-მოღვაწეობის მომცველ 12 სიმბოლურ გაჩერებას მოიცავს.

მოგზაურთა შეკრების ადგილია თბილისი, რუსთაველის გამზირი, ქაშუეთის ტაძრის სამრეკლოსა და გეოგრაფიული საზოგადოების შენობის წინა სივრცე. ხოლო დიდგორის ტურის გაჩერებები ისტორიულ-სიმბოლური ნიშნითაა შერჩეული.

I. თბილისი, დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის გამზირი, მირიან მეფისა და გიორგი მრწყინვალის ქუჩების შეერთების ადგილი – ქართული ანბანის სკვერი;

II. წიწამური, წმ.ილია მართლის (ჭავჭავაძის) მკვლელობის ადგილი – ოზელისკი;

III. მცხეთა, სვეტიცხოველი, სადაც დაუნჯებულია კვართი უფლისა;

IV. მცხეთა, სამთავროს ტაძარი, მცირე ეკლესია და მაყვლოვანი, სადაც წმ. ნინომ იქადაგა, გააქრისტიანა დედოფალი ნანა, შემდეგ მეფე მირიანი და მთელი ქვეყანა;

V. არმაზი, არქეოლოგიური გათხრების ადგილი, სადაც 1937-41 წლებში აღმოჩენილია ქრისტიანობამდელი საქართველოს უდიდესი კულტურის საგანძური;

VI. ძეგვი-ნიჩბისი, ძველი უდაბური ტყის სანახები, სადაც მტერთან საბრძოლოდ შემართული დავით მეფის ლაშქარი იყო დაბანაკებული;

VII. დიდგორი, დიდი გამარჯვების – ძლევაი საკვირველის – ადგილი; 1991 წელს გახსნილი სკულპტურულ-არქიტექტორული მემორიალი;

VIII. დიდი თონეთი, სადაც სოფლის სკოლაში მასწავლებლობდა ვაჟა-ფშაველა, ხოლო ამჟამად მოქმედებს მისი სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა;

IX. ბეთანია, გუმბათოვანი ტაძარი, ბიბლიური სცენებითა და მეფე გიორგი მესამის, მეფე თამარისა და ლაშა-გიორგის ფრესკებით დამშვენებული;

X. კოჯორი, აზეულას ციხესიმაგრე, სადაც 1213 წელს აღესრულა მეფე თამარი;

XI. ტაბახმელა, 1921 წლის თებერვალში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში თავდადებულ მამულიშვილთა მემორიალი;

XII. ორთაჭალა, 300 არაგველის მემორიალი, 1795 წელს კრწანისის ომში დედაქალაქის დაცვისათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნის მარადიული ცეცხლი;

ტურის დასასრულს, შთაბეჭდილებებით დატვირთულ მოგზაურებს ეგებებიან მარადიული სიმბოლოები: მეფე ვახტანგ გორგასალი, ქართვლის დედა, წმ. გიორგი და რუსთაველი...

დიდგორის ტურის მონაწილენი იყვნენ.

მარინე ამბარდნიშვილი – გეოგრაფი, **ნინო არსენაშვილი** – პოეტი, **გაბრიელ ბარჯაძე** – ჟურნალისტი, **გიორგი გელოვანი** – ეკოლოგი, **აულა გიგაური** – მათემატიკოსი, **ელენე გიუნაშვილი** – მოსწავლე, **ანა გოგილიძე** – ინჟინერი, **ლალი გოგოხია** – არქიტექტორი, **ქეთევან გოდერძიშვილი** – ონომასტიკოსი, **რაისა დენეიკინა** – მეტალურგი, **მაია დიაკონიძე** – მწერალი, **გია კვაშილავა** – ლინგვისტი, **ნანა კვაშილავა** – პოეტი, **ნუგზარ კიკნაძე** – ზღვაოსანი, **გვანჯი მანია** – ჟურნალისტი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), **თამაზ მახარაძე** – მძღოლი, **ქეთევან მგალობლიშვილი** – გეოგრაფი (ექსპედიციის მენეჯერი), **გიორგი მეტრეველი** – ჰიდრომეტეოროლოგი, **პაატა** მოისწრაფიშვილი –ხელოვანი, **ირინა ოდიაშვილი** – ფინანსისტი, **ზაზა ოქრუაშვილი** – მძღოლი, **ნიკოლოზ რაზმაძე** – მოსწავლე, **ავთანდილ რეხვიაშვილი** – მხატვარი, **კახა საგაშვილი** – ექსპედიტორი, **ნარგიზ საგაშვილი** – მათემატიკოსი, **შალვა საგაშვილი** – ასტრონომი, **ნინო სალუქვაძე** – ხელოვანი (ექსპედიციის მეგზური), **მარინა სილაგაძე** – პოლიციის კაპიტანი, გიდი, **ნოდარ სილაგაძე** – სამართალმცოდნე, **თამაზ ქვლივიძე** – მევენახე, **მანონ ყუბანეიშვილი** – მუსიკოსი, **ანა შალვაშვილი** – სამართალმცოდნე, **ბელა შალვაშვილი** – პოეტი, **დავით შონია** – ისტორიკოსი, **ავთანდილ ჩხიკვაძე** – ეკოლოგი, **ნინო ჭანტურია** – პედაგოგი, **მარიკა ჯიქია** – აღმოსავლეთმცოდნე.

საკუთარ შთაგეჭდილებებს გვიზიარებენ ამ დაუვიწყარი ტურის მონაწილენი.

ნინო არსენაშვილი – ფილოლოგიის მაგისტრი, პედაგოგი, პოეტი:

საოცრად საინტერესო სვლაგეზით ვიმგზავრეთ საოცარ ადამიანებთან ერთად; მოვინახულეთ დიდ დიღომში ქართული ანბანის სკვერი, შემდეგ წიწამურის მემორიალი, სადაც „ვერ მოკლეს ილია“ (ნოდარ დუმბაძის სიტყვები გაიხსენა აღმოსავლეთმცოდნემ, პოეტმა და მთარგმნელმა ბელა შალვაშვილმა), მოვილოცეთ სვეტიცხოველი და სამთავროს დედათა მონასტერი. ყველაზე მეტხანს დიდგორის მემორიალთან შევჩერდით... იმდენი რამ იყო საინტერესო, რომ საუბარი ბატონ გია კვაშილავასთან (ფაზისის აკადემიის პრეზიდენტთან) გაგრძელდა. მადლობას მოვახსენებ ტურის ორგანიზატორებსა და ტურის თითოეულ მონაწილეს დაუვიწყარი დღისთვის. ასევე მადლობელი ვარ ჩემი ოჯახის წევრების, რომელთაც მომცეს საშუალება ვყოფილიყავი ამ საინტერესო მოგზაურობის მონაწილე.. ჩემს შთაბეჭდილებებს მოჰყვა ლექსი, რომლის ერთ ტაეპს აქვე შემოგთავაზებთ:

თუ ისევ გაკრთომს დიდგორის ზარი

და ისევ გახსოვს ქვეყნის წარსული,

მაშ, წინაპარი არ არის მკვდარი,

არც ჩვენი საქმე არის წასული.

მარიკა ჯიქია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:

საქართველოში საგანმანათლებლო-შემეცნებითი მიზანდასახულობის ბევრი ისტორიული ადგილია, რითაც ამაყობს თითოეული ქართველი და რაც უცხოელი ტურისტების აღფრთოვანებას იწვევს...

მაგრამ დიდგორის მთა (სიმაღლე – 1647 მეტრი, თბილისიდან 39 კილომეტრი) საქართველოს ის ადგილია, რომლითაც თავს უნდა იწონებდეს ქართველი, და რომლის წინაშე ქედს უნდა იხრიდნენ არა მხოლოდ ქართველები და კავკასიელები, არამედ სრულიად ევროპელები (და არა მხოლოდ ევროპელები), რამეთუ 1121 წელს დიდგორში სასტიკად დამარცხდნენ ევრაზიის კონტინენტის დაპყრობისა და მისი გამუსულმანების დაუძლეველი სურვილით შეპყრობილი თურქ-სელჩუკები.

დიდგორის გამარჯვება შედეგია საქართველოს მეფის, დავით აღმაშენებლის, გენიალური სტრატეგიისა და მისი მხედრობის იგავმიუწვდომელი მამაცობისა.

აი ის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც დასტურდება დიდგორის ომში:

55 600 – ქართული მხედრობა, მინიმუმ 300 000 – თურქ-სელჩუკთა კოალიცია და სამ ჟამში (საათში) ქართველთაგან მომხდურთა ფანტასტიკური ძლევა. მხედართა რაოდენობის რეალობამ გამოიწვია ძლევის ეპითეტად „საკვირველი“.

აი, რატომ ვასახელებთ ქართულ დიდგორს ევროპის, მეტიც, ევრაზიის უპირველეს ადგილად! ვალდებულებად უნდა იქცეს დიდგორის მონახულება. დიდგორის მიწით დაფარულ მებრძოლთა ძვლების წინაშე ქედის მოდრეკა. დიდგორი ისეთივე წმიდა ადგილად არის აღსაქმელი კავკასიელთა და ევროპელთა მიერ, როგორც მუსულმანთათვის – მექა და უფრო მეტიცაა, რამეთუ დიდგორი და იქ 1121 წელს გამართული ბრძოლა რეალობაა და ხელმეორედ დაბადებაა ქრისტესი – ქრისტიანთა და თუნდაც არაქრისტიანთათვის.

ჩვენი ექსპედიციის აღმაფრენა გამოიხატა დიდგორის თავზე, მემორიალთან, წარმოთქმული სიტყვებით, ლექსებითა და სიმღერებით. და არა მხოლოდ დიდგორზე, ყველა იმ 12 სიმბოლურ ადგილზე, რომელიც გვხვდებოდა დიდგორის ტურის გზაზე, ჯერ თანდათან გვაახლოებდა იმ წმიდათაწმიდა ადგილს, დიდგორი რომ ჰქვია. ხოლო შემდეგ გვაცნობდა მომდევნო საუკუნეთა მოვლენებსა და ნიშან-სვეტებს.

არადა, ძალიან საწყენია, საქართველოს ეს საკრალური ადგილები, თავიანთი მაღალი დანიშნულებით, რომ არ იცოდნენ და არ ჰქონდეთ ნანახი თავად ქართველებს, მით უფრო, სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს.

ამიტომ ექსპედიციის ორგანიზატორებმა მიიღეს მტკიცე გადაწყვეტილება: ილუსტრირებული ბუკლეტები დაეგზავნოს საქართველოში არსებულ ყველა სკოლას, სადაც წარმოდგენილი იქნება „დიდგორის ტურის“ მონაწილეთა შთაბეჭდილებები, რაც უფრო გაუძლიერებს ახალგაზრდებს ცოდნასა და პატრიოტულ სულისკვეთებას და გაზრდის მათს მამულიშვილურ მოვალეობას – ადგილზე მისვლით პატივი მიაგონ იმ ადგილებსა და იმ გმირებს, რომლებმაც თავშეწირული ბრძოლებით დღევანდელი საქართველო და დღევანდელი დღე გვაჩუქეს. მეტიც. „დიდგორის ტურის“ ორგანიზატორთა მიზანია, ასეთივე ბუკლეტებითა და მათი ელექტრონული ვერსიებით უზრუნველყონ ევროპელი მოსწავლეები და სტუდენტები, რათა იცოდნენ: **„დიდგორი გახდა ... ევროპის გადარჩენის მტკიცე გარანტი!“**

ვინ იცის, რამდენს დააწერინებს ლექსს, სიმღერას, ესეს თუ ტილოს „დიდგორის ტურით“ მიღებული ეროვნული მუხტი, რისი დასტურიცაა „დიდგორის ტურის“ ექსპედიციის არაერთი წევრის მაგალითი. რა თქმა უნდა, ამ ეროვნული მუხტის, მოზარდის ეროვნული მეობის ამაღლების ლომის წილი მასწავლებლებზეა დამოკიდებული!

შალვა საგაშვილი - ასტრონომი და პოეტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი: ზოდიაქოს 12 თანავარსკვლავედი; 12 მოციქული; 12 დღე-ღამე ბუნიობისას და 12 სულიერი აკაშკაშება; ნახტომები დროში: XXI საუკუნის თბილისის გულიდან ჯერ უძველესი ქართული ანბანის უნიკალურ ძეგლს მივეახლეთ, მოსაღამებულზე ტაბახმელის მემორიალთან შევცქეროდი დედამიწის, მზისა და ნახევარმთვარისაგან შექმნილ ციურ სამკუთხედს, 23 საუკუნის წინ



ძველბერძენ არისტარქე სამოსელს საოცარი კოსმოლოგიური აღმოჩენა რომ შთააგონა. მანამდე – მირიან მეფის, ნანა დედოფლის, წმ. ნინოსა და ვახტანგ გორგასლის ნაკვალევები ჯვრის მონასტრის გარშემო. ვაჟას ნასუნთქი ჰაერი დიდ თონეთში. მწვერვალად კი ასერილ-დასერილი ტყეების გულში აღმართული ცისკენ მსწრაფი მემორიალი დიდგორში - დიდი დავითის „ძლევაი საკვირველი“, შემდგომში რუსთაველი რომ მოგვივლინა, ბოლოს კი მიახლოება კრწანისის გმირების სულთან) მერწმუნეთ, საოცარი ამაღლება გელით დიდგორის ტურის ყველა მომავალ მონაწილეს!

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

რედაქციისგან:

დიდგორის ტურის განხორციელებას ჩვენი გაზეთის მკითხველთა და სოციალური ქსელის მოყვარულთა უზვეულო ინტერესი მოჰყვა. ვისაც სურს სექტემბერ-ოქტომბერში ტურის მეორე - მესამე ნაკადში მონაწილეობა შეუძლია დაუკავშირდეს ორგანიზატორებს. საკონტაქტო ტელეფონები: 555 207 591; 593 512 747; ელ.ფოსტა: GIORGIONOM@GMAIL.GOM

რედაქტორის წინათქმა

მაგალითი – თაობათათვის!..

გამოჩენილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ როინ მეტრეველის ამ წერილის გამოქვეყნებიდან ექვს თვეზე მეტი გავიდა...

დიდად სამწუხაროდ, თითო-ოროლა მეცნიერის და რიგითი მკითხველის გარდა წერილის ვტორს და რედაქციას არავინ შეხმიანებია, არადა, საუკუნოვანი გაზეთის მრავალ საპროგრამო პუბლიკაციას შორის ეს წერილი, თავისი ეროვნული პათოსით ყველასგან გამორჩეულია და ქვეყნის ხელისუფლების, მთელი საზოგადოების ყურადღებას, მოქმედებას და პრაქტიკულ რეაგირებას მოითხოვდა.

დღეს, დიდგორობის ეროვნულ დღესასწაულზე, ხელმეორედ ვბეჭდავთ მას. ეგების ახლა მაინც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება „ოცნების“ გამორჩეულად ეროვნულმა მთავრობამ და პრეზიდენტმა დავით აღმაშენებლის დაბადებიდან 950 წლისთავს, რომ 2023 წლის ბოლოს მაინც მოვეფეროთ საქართველოს ერთ-ერთი გადამრჩენელი მეფის, პოლიტიკოსის და სტრატეგის უკვდავ სახელს, ვითარცა თაობათათვის მადლიერების მაგალითს:

გახსოვდეთ, 2023 წელი დავით აღმაშენებლის წელია!

დავით აღმაშენებლის დღე

მახვილი მესიისა

26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) საქართველოს დიდი პოლიტიკური მოღვაწის წმიდა მეფე დავით IV აღმაშენებლის (1073-1125 წწ.) მოხსენიების დღეა. XII საუკუნე ესაა პერიოდი, როცა საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა, გამთლიანდა და უდიდეს წარმატებას მიაღწია. ეს პერიოდი „ოქროს ხანადაა“ მიჩნეული. საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაფართოვდა – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე. დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული მრავალმხრივი ღონისძიებების (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, საეკლესიო, სამხედრო, სასამართლო და სხვ.) შედეგად საქართველო დაწინაურდა და ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა;

წოდება „აღმაშენებელი“ (ქართველი მეფეები სხვადასხვა წოდება-ეპითეტებით არიან ცნობილნი: დიდი, თავდადებული, ბრწყინვალე, კისკასი, კეკელა, რეგვენი, მცირე, ავი და სხვა), საქართველოს ისტორიაში ერთადერთს – დავით IV -ს ხვდა. „...მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულად ოხერი; ამან განავსო და აღაშენა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი“... (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ, 1973, გვ. 163).

ამგვარად, XI საუკუნის 80-იან წლების ბოლოს საქართველოს მოევლინა პიროვნება (მეფე), რომელმაც შეძლო დაქსაქსული მოსახლეობის მობილიზება, მომხდური მტრის დამარცხება და ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე დაყენება. ამას მოჰყვა დიდი გარდაქმნები, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღორძინება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ მაღალი განათლების მქონე მეფის მიერ გელათის აკადემიის (უნივერსიტეტის) დაარსებას (1106 წ.). ამ საქმეთა შემოქმედი დავით IV თანამედროვეებმა და შთამომავლობამ აღმაშენებლად აღიარა და წმინდანად შერაცხა; მისი ხსენების დღედ 26 იანვარი (8 თებერვალი) დაწესდა.

მეფემ გეგმაზომიერად გაატარა ღონისძიებები ქვეყნის ცენტრალიზებისა და გაძლიერებისათვის: 1110 წ. აიღო სამშვილდე, 1115 წ. – რუსთავი, 1117 წ. – გიში, 1118 წ. – ციხე-ქალაქი ლორე. 1118-19 წლებში ჩამოასახლა ყივჩაღები და ლაშქარი გაზარდა.

1121 წლის 12 აგვისტოს უდიდეს გამარჯვებას („ძლევაი საკვირველი“) მიაღწია დიდგორთან – დაამარცხა მუსლიმთა ძლიერი კოალიციური ლაშქარი.

საქართველოს ძველი დედაქალაქისა და სხვა ქალაქების დამორჩილება ფაქტობრივად დიდგორის ბრძოლის გაგრძელება იყო: „მეორესა წელსა (1122 წ. – რ. მ.) აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 326).

დიდგორის ბრძოლის შემდეგ თითქმის მთელი სამხრეთ კავკასიის მიწები, საერთაშორისო სავაჭრო გზები და ქალაქები საქართველოს საზღვრებში მოექცა. ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების – რჯულთშემწყნარებლობის პრინციპს, რაც იმ პერიოდისათვის, მეტად უჩვეულო მოვლენა იყო. დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გეგმაზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი“.

წმინდა მეფის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“, რომელიც შუა საუკუნეების კულტურული, ესთეტიკური, იდეოლოგიური მრწამსის, ამასთან, ქრისტიანული საკაცობრიო სევდის გამომხატველი ძეგლია. დავით აღმაშენებლის („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა“) მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები და საქართველო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ სახელმწიფოდ აქცია.

აუცილებლად მიმაჩნია საზოგადოებას შევახსენო, რომ 2023 წელს სრულდება 950 წელი დიდი ქართველი პოლიტიკოსის, „მესიის მახვილის“, მეფეთ-მეფე წმიდა დავით IV აღმაშენებლის დაბადებიდან. ღრმად მწამს, რომ ამ თარიღს ქართული საზოგადოება, ხელისუფლება და შესაბამისი უწყებები, ჩვენი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღირსეულად აღნიშნავენ, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ დავით აღმაშენებლის იუბილე ფართოდ აღინიშნოს მთელს მსოფლიოში.

როინ მეტრეველი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ქეთევან გოდერძიშვილი:

და უდიდგოროდ არ იქნებოდა...

ეს ლექსი დაბეჭდვამდე წავიკითხე თვით დიდგორის მთის თავზე, მემორიალთან...

არ იქნებოდა „შენ ხარ ვენახი“
დემეტრე მეფის –
ნიჩბისის მხრიდან მამასთან ერთად
დიდგორის მცველის;
არც განძის კარი,
დემეტრეს მიერ ჩამოხსნილი,
არც „მანიაკი“,
ძვირფასი ქვებით მოჭედილი, არაბთა მეფის,
არ იქნებოდა ხვედრი გელათის.

არ იქნებოდა ქრისტეს გუმბათი
ქართული მიწის მონასტერთა
თავსაბურავი.
და არც თბილისი,
400 წელი საამიროს მთავარქალაქი,
არ გახდებოდა საქართველოს დედაქალაქი.

არ იქნებოდა მეფე გიორგი
და არც თამარი,
აღარც რუსთველი,
არც ოქროს ხანა...
არც ყმადნაფიცი ქვეყნებისა თუ
ტრაპიზონის ქართველთგან მართვა.
აღარც შამქორი იქნებოდა, არც ბასიანი...
რადგან ქართველი გახდებოდა მაჰმადიანი.

არ იქნებოდა მეფე გიორგი
მეფე, „ბრწყინვალედ“ სახელდებული
და მისი ღვაწლით
საქართველო გაერთებული!
არ იქნებოდა მონღოლთა ძლევა,
ცხენთ ვაჟკაცურად ამხედრებული ქართველების
გაშლილ დროშებით ეგვიპტედ შესვლა!

და უდიდგოროდ არ იქნებოდა არც ტაშისკარი,
და არც მარაბდა,
და არც მარტყოფის ბრწყინვალე ბრძოლით
სპარსთა ურიცხვი ლაშქრის დაჯაბნვა...

არ იქნებოდა
მტრის ხმლით დასერილ ერეკლეს მიერ
ლეკ-სპარს-ოსმალთა სრვა,
არც ასპინძაში მისი მხედრობით
აღზევებული ქართული სპა.

ეს ყოველივე არ იქნებოდა
დიდგორი ოსმალთ რომ დარჩენოდა,
„ძლევაი საკვირველი“ რომ არ გვქონოდა,
აღმაშენებელს
ქართველთა ქრისტეს მიმდევრად გადარჩენის
ღვთიური მადლი რომ არ ჰქონოდა...
და უდიდგოროდ
არც დღევანდელი საქართველო
არ იქნებოდა.

დიდგორი გახდა
საქართველოს იშთარის კარი,
საქართველო კი – ჰეგემონი,
ევროპისა და იერუსალიმის
გადარჩენის მტკიცე გარანტი!

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს ა(ა)იპ ეთნო ოკამისა და ა(ა)იპ ასურეთის განვითარების რეგიონალური ცენტრის მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადების მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება „ოკამი“

წარმოების სპეციფიკაცია

განაცხადის N 3515/6
განაცხადის შეტანის თარიღი: 2022 04 13
ადგილწარმოშობის დასახელებაა: ოკამი
საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია - ღვინო
განმცხადებლის სახელი და მისამართი: ა(ა)იპ ეთნო ოკამი; კანდელაკის ქ. N18ბ, ბინა N39, თბილისი, საქართველო

1. დასახელება: ოკამი

2. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები:

„ოკამი“ მშრალი ღვინოა, რომელიც შეიძლება იყოს თეთრი ან წითელი.

„ოკამი“ თეთრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი – ღია ჩალისფრიდან ჩალისფრამდე;
- არომატი და გემო – გემოზე ჰარმონიული, სასიამოვნო და ხალისიანი, ზომიერი მჟავიანობით, დახვეწილი და დაბალანსებული გემოთი, ახალგაზრდა ღვინისათვის დამახასიათებელი მსუბუქი ციტრუსოვანი და ყვითელი ხილის არომატით, მინდვრის ყვავილების ტონებით, დავარგებისას ღვინოს უვითარდება გამოხატული ბუკეტი ტკბილი სანელებლების და მწიფე ხილის ტონებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 11 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 16 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არაუმეტეს 4 გ/ლ;
- ტიტრული მჟავიანობა, ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით – არანაკლებ 5 გ/ლ;
- აქროლადი მჟავიანობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გ/ლ-ს;
- გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 200 მგ/ლ-ს.

„ოკამი“ წითელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი – ლალისფერი;
- არომატი და გემო – გემოზე სავსე, სასიამოვნო და ხალისიანი მჟავიანობით, ექსტრაქტული, წითელი კენკრის ნაზი არომატით, დავარგებისას უვითარდება სანელებლების არომატი;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 12%-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 24 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
- ტიტრული მჟავიანობა, ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით, არანაკლებ 5 გ/ლ;
- აქროლადი მჟავიანობა არ უნდა აღემატებოდეს 1,2 გ/ლ-ს;
- გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 მგ/ლ-ს.

3. წარმოების გეოგრაფიული ადგილი და ზონები

ოკამის მიკროზონა მდებარეობს შიდა ქართლის მევენახეობის ზონის ცენტრალურ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს და მოიცავს კასპის მუნიციპალიტეტის მევენახეობისათვის ხელსაყრელ ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების არეალს.

ოკამის მიკროზონაში შედის სოფლები: კოდის წყარო, ქვემო ჭალა, ლამისყანა, სამთავისი, ოკამი, აღაიანი, ახალქალაქი, თელიანი, ქვემო გომი, მეტეხი, ხოვლე, ზემო ხანდაკი, ახალციხე, დოესი, კასპი, წინარეხი და კავთისხევი.

4. ვაზის ჯიშები

ღვინო „ოკამი“ თეთრი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ოკამის მიკროზონაში მოწეული ჩინურის და/ან გორული მწვანეს ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება. ღვინო „ოკამი“ წითელი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ოკამის მიკროზონაში მოწეული შავკაპიტოს ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

5. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა

- ოკამის მიკროზონაში ღვინო „ოკამისთვის“ განკუთვნილი სამრეწველო ვენახები გაშენებულია ზღვის დონიდან 500-დან 800 მეტრამდე;
- ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 2,5 მეტრამდე;
- ვაზთაშორის მანძილი რიგში – 0,8-1,5 მეტრი;
- შტამბის სიმაღლე – 60-90 სმ;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი;
- ვაზის გაშენება, მისი გასხვლა-ფორმირება და მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვა, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად.

6. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება

- ღვინო „ოკამი“ თეთრისთვის განკუთვნილი ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს არ უნდა იყოს 19%-ზე ნაკლები;
- ღვინო „ოკამი“ წითლისათვის განკუთვნილი ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები;
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, ან ტარპებით, რომელთა ტევადობა არ აღემატება 80კგ-ს;
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება;
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

7. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი

ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 8 ტონას;

ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:

- 650 ლიტრს – ერთი ტონა ყურძნიდან;
- 5200 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან.

8. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა

ღვინო „ოკამის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ ოკამის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება დასაშვებია მხოლოდ შიდა ქართლის ქვეზონის ფარგლებში, ხოლო ბოთლებში ჩამოსხმა – შიდა ქართლის ქვეზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ღვინო „ოკამი“ თეთრი მზადდება თვითნადენი ყურძნის ტკბილის სრული ალკოჰოლური დუღილის გზით.

ღვინო „ოკამი“ წითელი მზადდება დურდოს სრული ალკოჰოლური დუღილის გზით; ღვინო „ოკამის“ სამომხმარებლო ბაზარზე გატანა სარეალიზაციოდ ნებადართულია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

9. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის

კლიმატი – ოკამის მიკროზონაში მშრალი სუბტროპიკული ჰავაა, ზომიერად ცივი ზამთრითა და მშრალი, ცხელი ზაფხულით. მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 2250-2400 საათია, სავეგეტაციო პერიოდში კი 1600-1800 საათს აჭარბებს. საშუალო წლიური ტემპერატურაა 11,4°C, იანვარში – 0,5°C, აგვისტოში კი – 23°C. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაბატონებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარები. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3450-3600°C-ს შეადგენს.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 500 მმ-ს. მიკროზონაში ნალექების საკმაოდ დიდი წილი მოდის გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში, ე.ი. მცენარის ზრდისა და ყვავილობის პერიოდში, ხოლო მცირე რაოდენობით – ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დასაწყისში, ე.ი. ყურძნის მომწიფების დროს, რაც უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ნაყოფის ნორმალური და სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებისთვის.

გარდა ამისა, მიკროზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (3450-4700°C), თბილი დღეები და გრილი ღამეები ყურძნის მომწიფების პერიოდში, უზრუნველყოფს ნაყოფში შაქრის კონცენტრაციის მნიშვნელოვან ზრდას.

ნიადაგი – ოკამის მიკროზონაში, ძირითადად, წარმოდგენილია მდელოს ყავისფერი, კარბონატული და ალუვიური ნიადაგები. ნიადაგების უმეტესობა კაკლოვან-მარცვლოვანი სტრუქტურისაა, რომელთა მექანიკური შედგენილობა, ძირითადად, მძიმე და საშუალო თიხნარებსა და მსუბუქ თიხებს მიეკუთვნება და ფიზიკური თიხის შემცველობა 45-85%-ის ფარგლებშია. კარბონატებს, მეტწილად, მცირე რაოდენობით შეიცავს და პროფილში 2,8-6,6%-ის ფარგლებში მერყეობს. ნიადაგები ძირითადად ტუტე რეაქციისაა – pH-ის მაჩვენებელი 8,2-8,7 შეადგენს. ნიადაგების პროფილის სისქე 0,8-1,3 მეტრის ფარგლებშია, ხოლო აქტიური ჰუმუსიანი ფენა 50-60 სმ-ის ფარგლებში მერყეობს.

ორგანული ნივთიერებების შემცველობა საშუალო და დაბალია და 2,42-5,85 %-ის ფარგლებში მერყეობს.

ნიადაგი საშუალო და მცირე რაოდენობით შეიცავს ხსნად (შესათვისებელ) ფოსფორს, რაც შეადგენს 1,83-16,40 მგ-ს 1კგ ნიადაგში, ზოგიერთ შემთხვევებში კი მხოლოდ კვალის სახითაა წარმოდგენილი. საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს გაცვლით კალიუმს, რაც საპლანტაჟო ფენის 1 კგ ნიადაგში 480-650 მგ-ს შეადგენს.

შთანთქმული ფუძეების ჯამი (Ca+Mg) მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება და 100 გ ნიადაგში 41,33-43,84 მილი ექვივალენტის ფარგლებშია. მათგან გაცილებით მეტი პროცენტი მოდის შთანთქმულ კალციუმზე, მაგნიუმი კი გაცილებით მცირეა.

აღნიშნულ ხელსაყრელ კლიმატურ პირობებთან ერთად, მიკროზონის მევენახეობისთვის საუკეთესო ნიადაგების კაკლოვან-მარცვლოვანი სტრუქტურა განაპირობებს ყურძნის შაქრიანობასთან დაბალანსებული სიმჟავის მოსავლის მიღებას, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს გემოზე ღვინის სირბილეს, ზომიერ მჟავიანობას და მსუბუქ ციტრუსოვან არომატს, თეთრი ღვინის შემთხვევაში, ხოლო წითელი კენკრის ნაზ არომატს – წითელი ღვინის შემთხვევაში.

ადამიანური ფაქტორი – ისევე, როგორც საქართველოს მევენახეობის სხვა ზონებში, მევენახეობა-მეღვინეობა ოკამის მიკროზონაშიც უხსოვარი დროიდანაა და მთელი თავისი ისტორიის მანძილზე განთქმული იყო თავისი ღვინოებით. აქაური მეღვინეები ოდითგანვე წურავდნენ ყურძენს საწნახელში და მიღებულ თვითნადენ ტკბილს ქვევრებში ადუღებდნენ. ისინი საუკუნეების განმავლობაში ხვეწდნენ და სრულყოფდნენ ღვინის დაყენების ადგილობრივ მეთოდებს. ამ მხარეში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ივანე მუხრანბატონს (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი) და თენგიზ კეკელიძეს, რომელმაც 1965 წელს დააარსა ოკამის ღვინის ქარხანა და იყო მისი პირველი დირექტორი. აღსანიშნავია, რომ ქარხანას 1994 წელს მიენიჭა თენგიზ კეკელიძის სახელი და დაიდგა მისი ბიუსტი (ბ. კალანდაძე „სამტრესტი და სამტრესტელები“, გვ. 26, 108. თბილისი, 2014 წ. https://www.entrepreneur.com/article/325601, http://www.nplg.gov.ge/winemakers/en/00000017/).

ოკამის მიკროზონის მეღვინეობის შემდგომ განვითარებას და ღვინო „ოკამის“ დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფასა და ხარისხის გაუმჯობესებას ახალი პერსპექტივები გაუჩინა ოკამის ღვინის ქარხნის გარდაქმნამ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო ბაზად, რომლის სამეცნიერო პოტენციალი მიმართულია ამ რეგიონში მეღვინეობის განვითარებისკენ.

ამრიგად, ოკამის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, მისთვის დამახასიათებელი კლიმატი, ნიადაგები, შავკაპიტოს, ჩინურისა და გორული მწვანეს ჯიშების განსაკუთრებული თვისებები, მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო „ოკამის“ განუმეორებელ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

10. პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული წესები

ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებსა და სარეკლამო მასალებში დაიტანება:

ქართულად: **ოკამი** დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო

ლათინური დამწერლობით: **OKAMI** Protected Designation of Origin ან/და PDO

კირილიცით: **ОКАМИ Защищенное наименование место происхожнеия**

11. აღრიცხვა და შეტყობინება

„ოკამის“ წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N2-78 ბრძანებით დამტკიცებული „მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესი“).

12. ძირითადი საკონტროლო წერტილები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ოკამის“ წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

ძირითადი საკონტროლო პუნქტები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავების ადგილი, გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

13. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო

წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო.

14. მიკროზონის რუკა



ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება „ასურეთული შალა“

წარმოების სპეციფიკაცია

განაცხადის N3514/6
განაცხადის შეტანის თარიღი: 2022 04 04
ადგილწარმოშობის დასახელებაა: ასურეთული შალა
საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია: ღვინო
განმცხადებლის სახელი და მისამართი: ა(ა)იპ ასურეთის განვითარების რეგიონალური ცენტრი; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ასურეთი, შვაბების ქუჩა N28, საქართველო

1. დასახელება: ასურეთული შალა
2. დამატებითი აღნიშვნა: ასურეთული
3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები:
„ასურეთული შალა“ წითელი მშრალი ღვინოა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი: ღია ლალისფრიდან მუქ ლალისფრამდე;
- არომატი და გემო: ექსტრაქტული, დახვეწილი. სასიამოვნო ხალისიანი მჟავიანობით, მაყვლის და შავი მოცხარის ტონებით. დავარგებისას უვითარდება მკვეთრად გამოხატული ბუკეტი სანელებლების (პილპილი, მიხაკი) და მშრალი ხილის (შავი ქლიავის ჩირის) ტონებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 11%-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 24 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
- ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 4 გ/ლ-ზე ნაკლები;
- აქროლადი მჟავიანობა ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით – არაუმეტეს 1,2 გ/ლ;
- გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია – არაუმეტეს 150 მგ/ლ.

4. წარმოების გეოგრაფიული არეალი და ზონები
ასურეთული შალას მიკროზონა მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთში, მდ. ალგეთის მარცხენა სანაპირო ზოლში, მიკროზონა მოიცავს სოფელ ასურეთის სავარგულებს.

5. ვაზის ჯიშები
„ასურეთული შალა“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ასურეთული შალას მიკროზონაში მოწეული ასურეთული შავის ჯიშის ყურძნიდან. დასაშვებია ასურეთულ შავთან ერთად თავკვერისა და შავკაპიტოს გამოყენებაც 15%-ის ფარგლებში.

6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა
ასურეთული შალას მიკროზონაში, ღვინო „ასურეთული შალასთვის“ განკუთვნილი სამეწარმეო ვენახები გაშენებული უნდა იყოს ზღვის დონიდან 400-750 მეტრის სიმაღლეზე;

- ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 2,5 მეტრამდე;
- ვაზთაშორის მანძილი რიგში 0,8-2 მეტრი;
- შტამბის სიმაღლე 50-80 სმ;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი;
- ვაზის გაშენება, მისი გახვლა-ფორმირება და დაცვა მავნებლებისა და დაავადებისაგან, ასევე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება მევენახეობის პრაქტიკაში დანერგილი და აპრობირებული მეთოდების გათვალისწინებით. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ ასურეთული შავის და თავკვერის ჯიშების ყვავილები ფუნქციონალურად მდედრობითი სქესისაა და მათი გაშენებისას საჭირო იქნება დამამტვერიანებლების შერჩევა.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება

- „ასურეთული შალა“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისგან. შაქრიანობა კრეფის დროს უნდა იყოს არანაკლებ 19%;
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური საღებავით შეღებილი ძარებით;
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების ან/და ტომრების გამოყენება;
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისგან.

8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი
ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას.
ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 650 ლიტრს 1 ტონა ყურძნიდან და 6500 ლიტრს 1 ჰა ვენახიდან.

9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა
„ასურეთული შალას“ წარმოებისთვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ ასურეთული შალას მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან. ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ასურეთული შალას მიკროზონის საზღვრებში, ხოლო ჩამოსხმა დასაშვებია ამ მიკროზონის გარეთაც, საქართველოს ტერიტორიაზე.

„ასურეთული შალა“ მზადდება დურდოს სრული ალკოჰოლური დუღილის გზით.

„ასურეთული შალას“ წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომელიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის N524 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“).

10. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის

კლიმატი – ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 15°C, ყველაზე თბილი თვის (აგვისტო) საშუალო ტემპერატურა 20°C-დან 24°C-მდე მერყეობს, ყველაზე ცივი თვის (იანვრი) საშუალო ტემპერატურა კი მერყეობს -0,7-დან -3°C-მდე. ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 10°C-ზე ზევით მდგრადი გადასვლა აპრილის პირველ დეკადაში (5-10 აპრილი) ხდება, ხოლო ტემპერატურის 10°C-ზე ქვევით დაცემა ნოემბრის პირველ დეკადაში (5-10 ნოემბერი) აღინიშნება. მიკროზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 3069°C-ს.

ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური ჯამი 450-დან 500 მმ-მდე მერყეობს. ნალექების მაქსიმუმი მაისშია, ხოლო მინიმუმი – დეკემბერში.

ნიადაგი – მევენახეობის ამ ზონაში გავრცელებული ნიადაგური საფარი ძირითადად წარმოდგენილია ყავისფერი, მცირე ჰუმუსიანი ნიადაგებით.

მექანიკური შედგენილობის მიხედვით, ნიადაგები მიეკუთვნებიან თიხნარი ნიადაგების ტიპს და წარმოდგენილნი არიან საშუალო სისქის ნიადაგებით. ზედა ჰუმუსიანი ჰორიზონტის სტრუქტურა კოშტოვან-მარცლოვანია. ზედაპირიდანვე გამოიყოფა შედარებით ფხვიერი, ნაკლებად სტრუქტურული ფენა.

პროფილის ზედა 70-80 სანტიმეტრიან ფენაში არ შეინიშნება $CaC0_3$. 80-130 სმ-იან ფენაში მისი შემცველობა 29-33 %-ის ფარგლებშია.

ჰუმუსის მაჩვენებელი სახნავ ფენაში 3,09-3,17%-ის ფარგლებშია.

აზოტის (N) ჯამური შემცველობა 0,150-0,175%-ს, ხოლო ფოსფორის (P_2O_5) – 0,08 %-ს შეადგენს.

ნიადაგის ხსნარის რეაქცია ზედა ფენაში 7,25-7,75, ხოლო ქვედა ფენაში 8,13-8,45-ს შეადგენს.

ამრიგად, მევენახეობის გავრცელების ზონის ნიადაგები აზოტის, ფოსფორის საშუალო და კალიუმის მაღალი უზრუნველყოფით ხასიათდებიან და, ასევე, საკმაოდ გაჯერებულია შთანთქმული ფუძეებით.

ადამიანური ფაქტორი – მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან მეფის რუსეთის მიერ, საქართველოში გერმანელი კოლონისტების (შვაბების) გადმოსახლება დაიწყო, რომელთა დიდი ნაწილი თბილისის შემოგარენში დასახლდა. ასე შეიქმნა 1818 წელს გერმანული დასახლება „ელიზაბეტტალი“ (დღევანდელი ასურეთი)[1].

მე-19 საუკუნის დასასრულისათვის „ელიზაბეტტალი“ კარგად განვითარებული და, სამეურნეო თვალსაზრისით, სანიმუშო სოფელი იყო. გერმანელები მისდევდნენ მევენახეობას, მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას და ხელოსნობას.

გერმანელმა კოლონისტებმა ასურეთში შექმნეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. დღემდე შემორჩენილია მათი ყოფის უნიკალური მატერიალური ძეგლები: უნიკალური ღვინის მარანი, გოგირდის აბანო, გოთური სტილით ნაგები ლუთერანული ეკლესია და ძველი გერმანული არქიტექტურული სტილით ნაშენი საცხოვრებელი სახლები.

აღსანიშნავია, რომ ვაზის ძველი ენდემური ჯიში ასურეთული შავი, ძველი ასურეთის ნასახლარზე, ტყეში იპოვა გერმანელმა ოტო შალლმა, რომელმაც ის, გააკულტურა და გაამრავლა. გერმანელებმა მისგან დაიყენეს ღვინო, რომელსაც მოგვიანებით, ოტო შალლის პატივსაცემად, „შალა“ უწოდეს. ასურეთში წარმოებული ღვინის რეალიზაციისთვის სპეციალური მაღაზიები იყო გახსნილი თბილისში, ბაქოსა და ერევანში. ვენახები გაშენეს სოფლიდან 7 კილომეტრში, მდინარე ალგეთის ნაპირებზე, რაც განაპირობებდა მაღალი ხარისხის მოსავლის მიღებას.[2] გერმანელებმა ააშენეს უნიკალური სამსართულიანი ღვინის მარანი, სადაც დაახლოებით 5000 ტონამდე ღვინოს აყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ასურეთში მდებარე უნიკალურ ღვინის მარანს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ამრიგად, ასურეთული შალას მიკროზონაში ვენახები, ძირითადად, გაშენებულია თიხნარ ნიადაგებზე, რომელიც გამოირჩევა კოშტოვან-მარცლოვანი სტრუქტურით და, მეზოკლიმატთან ერთობლიობაში, ძალზედ ხელსაყრელია მევენახეობისთვის და ანიჭებს ღვინოს მდიდარ გემოსა და კომპლექსურობას, სრულსხეულიანობას, სიტკბოსა და სიმჟავის ბალანსს, სიმრგვალესა და ტანინის კარგად დაბალანსებულ სტრუქტურას. ყველაფერი ეს განაპირობებს ღვინო „ასურეთული შალას“ განსაკუთრებულ ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს.

11. ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები
ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებსა და სარეკლამო მასალებში დაიტანება:
ქართულად: **ასურეთული შალა** დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო
ლათინური დამწერლობით: **ASURETULI SHALA** Protected Designation of Origin ან/და PDO
კირილიცით: **АСУРЕТУЛИ ШАЛА Защищенное наименование место происхожнеия**

12. აღრიცხვა და შეტყობინება
„ასურეთული შალას“ წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის №2-78 ბრძანებით დამტკიცებული „მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესი“).

13. ძირითადი საკონტროლო წერტილები
დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ასურეთული შალას“ წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

ძირითადი საკონტროლო პუნქტები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი. შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მომრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

14. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო
წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო.

15. მიკროზონის რუკა



1 https://tetritskaro.gov.ge/ghirsshesanishnaobebi/423-sofeli-asureti.html
2 https://tetritskaro.gov.ge/ghirsshesanishnaobebi/423-sofeli-asureti.html

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ანზორ ერქომაიშვილის დაბადების დღეს განცხადებით ეხმაურება.

ლეგენდარული ლოტბარის ფასდაუდებელი წვლილი

„ფასდაუდებელია მისი წვლილი ქართული კულტურის წინაშე. ანზორ ერქომაიშვილმა დააფუძნა და ჩამოაყალიბა სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლი „რუსთავი“ და, ასევე, 1976 წელს ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“, რომელსაც 2000 წლამდე თავად ხელმძღვანელობდა; მსოფლიოს მრავალი ქვეყნის არქივში მიაკვლია 1907 წლიდან 1930 წლამდე შესრულებული 500-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერის ფონოგრამას და განახორციელა მათი გამოკვლევა, რესტავრაცია.

მან, 1992 წელს, ლონდონის მუსიკალურ არქივში მიაკვლია 1902-1914 წლების ინგლისური კომპანიების მიერ გრამფირფიტებზე ჩაწერილ 127 ქართულ ხალხურ სიმღერას. აქვე აღმოაჩინა ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერების მატრიცები (დედნები), რომელთა მეშვეობითაც (ნოდარ ანდღულაძის მონაწილეობით) მოხერხდა მომღერლის პირვანდელი სრულყოფილი ხმის აღდგენა.

ანზორ ერქომაიშვილი ასევე გახლდათ: საქართველოს ტელევიზიის ტელეფილმის რედაქციის რედაქტორი, რუსთავის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი, ტელეგადაცემათა ციკლის „100 ქართული ხალხური სიმღერა“ წამყვანი.

ანზორ ერქომაიშვილმა არაერთი ნიჭიერი და საამაყო თაობა აღზარდა.

იგი ავტორია წიგნებისა: „ბაბუა“ (1980; ეძღვნება არტემ ერქომაიშვილის ცხოვრებას), „შავი შაშვი ჩიოდა“ (1989), „ძველი სიმღერების კვალდაკვალ“ (1979). მან მუსიკალურად გააფორმა ოცამდე კინოფილმი და სპექტაკლი. 2001 წელს მისი ინიციატივითა და „იუნესკოს“ ხელშეწყობით დაარსდა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. ასევე, 2006 წელს მომზადდა და გამოიცა XX საუკუნის ანთოლოგიის (1901-2001) ერთი ნაწილი (1901-1914), რომელშიც შედის ქართული ხალხური სიმღერებისა და საშემსრულებლო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

ქართველი ლოტბარის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომს წარმოადგენს კატალოგი, რომელიც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა. ეს გახლავთ პირველი ქართული ფონოჩანაწერები ბრიტანეთის ეროვნული არქივებიდან. მნიშვნელოვანია, რომ ორენოვანი კატალოგი ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივებში მოძიებული სიმღერების დაზუსტებულ ნუსხას აერთიანებს. ეს არის საგანძური, რომელიც ანზორ ერქომაიშვილმა მომდევნო თაობებს დაუტოვა.

აღსანიშნავია, რომ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობითა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით გამოიცა ეროვნული კულტურის შესახებ უნიკალური სამეცნიერო ნაშრომი „საქართველო. ისტორია. კულტურა. ეთნოგრაფია“.

ანზორ ერქომაიშვილს მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და პრემია.

ვაფიქრებთ!

კაცი – გულწრფელობისა და სიმართლის მაგალითი



ჩვენს ძვირფას მეგობარს, გამოჩენილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, უღალატო და გულისხმიერ ამხანაგს, სხვისი პრობლემებისა და გაჭირვების გაზიარებისა და გათავისების გამორჩეული უნარის კაცს, უანგარო და უშურველი დახმარების შემძლესა და უზადო მამულიშვილს

გივი ხვედელიძეს

გულწრფელად ვულოცავთ დაბადების მე-80 წლისთავს!

ბატონი გივი ის კაცია, რომელსაც ცხოვრების გზაზე უკან მოხედვისა არც არასოდეს შეშინებია და არც არასოდეს შეეშინდება. სადაც კი უმუშავია, ხაშურის რაიონის გამგებელი იყო, თუ საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, შიდა ქართლის (გორის რეგიონის) გუბერნატორის მოადგილე თუ სხვა თვალსაჩინო თანამდებობის პირი, ყველგან მისი პიროვნებისადმი სიყვარული და პატივისცემის გულწრფელი განცდა დატოვა, სიმართლისა და სამართლიანობის მაგალითები უჩვენა ადამიანებს.

80 წელი ბევრიც არის და ცოტაც. ბევრია იმისთვის, ვისაც არც საქვეყნო საქმე უკეთებია და არც საზოგადო გასაჭირს შეუძრავს, ხოლო გივი ხვედელიძისა და მისნაირებისათვის იგი ძალიან ცოტაა, რადგან საზოგადო საქმე და საკეთებელი მათი ცხოვრების აზრიც და მოწოდებაცაა!

ვულოცავთ ჩვენს ძმას და მეგობარს დაბადების დღეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს.

ჯუმბერ კურტანიძე, იზო პაქსაშვილი, გოგი ლაზარაშვილი, ჯემალ გელაშვილი, მურად მთვარელიძე, რობერტ სუხიაშვილი, ვასილ მამულაშვილი, მალხაზ ჭყოიძე, თამაზ ლაცაბიძე, ზურაბ ცუცქირიძე.

ახალი კოლექცია ეროვნულ გალერეაში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გამოფენა „ხელოვნების მუზეუმის ახალი კოლექცია 2021-2022“ (I ნაწილი) გაიხსნა და ამავე სახელწოდების კატალოგის წარდგინებაც გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

30-წლიანი წყვეტის შემდეგ, 2021-2022 წლებში, კულტურის სამინისტრომ შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდის შევსება ახალშეძენილი ნამუშევრებით შეძლო. მათ შორისაა 113 გამორჩეული მხატვრის 722 ნამუშევარი, რომელთაც მუზეუმი არ ფლობდა. ან არასაკმარისად იყო წარმოდგენილი საცავში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, იმ 17 მხატვრის მიერ საჩუქრად გადმოცემული 36 ნამუშევარი, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ეროვნული მუზეუმის საგამოფენო სივრცეში.

კოლექციაში მოხვდა სიღნაღის მუზეუმში გამართულ ნონკონფორმისტ მხატვართა პირველი ჯგუფური გამოფენიდან შეძენილი ნამუშევრები. ასევე, შესყიდულ იქნა მოდერნისტი მხატვრის, ვალერიან სიდამონერისთავის მიერ 1930-იან წლებში შექმნილი ნამუშევრები, მათ შორის, ბაქოს ინდუსტრიული ზონის მშენებლობის ამსახველი ფერწერული ტილოები და გრაფიკული ჩანახატები. ასევე შესაძლებელი გახდა დიდი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის 73 ნამუშევრის შეძენა.

უმნიშვნელოვანესი იყო ე.წ. 1980/1990-იანელთა თაობის მხატვართა ფერწერული სურათების შესყიდვა, ვინაიდან აღნიშნული ქრონოლოგიური მონაკვეთი ქართულ მხატვრობაში გარდატეხის ხანად და ახალი ეტაპის დასაწყისად ითვლება.

აღნიშნული ექსპოზიცია დამთვალიერებელს საშუალებას მისცემს, გაიაზროს, თუ რომელი გზა აირჩია თითოეულმა მხატვარმა ლოკალური კონტექსტის შეზღუდვების გადასალახად და თანამედროვე ტენდენციებთან საკუთარი გამოცდილების დასაკავშირებლად.

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდის ახალი კოლექციის ექსპონირება ეტაპობრივად განხორციელდება. დამთვალიერებელს გამოფენის ნახვა 10 სექტემბრამდე შეეძლება.

გიული ერგემლიძის მადლი ლამაზი მუსიკის თანხლებით

ძვირფასო რედაქცია, თქვენი გაზეთის საშუალებით ქართველ მკითხველს და მთელ საქართველოს მინდა გავაცნო და ორიოდე სიტყვით მოვუთხრო ადამიანზე, რომელმაც, მიუხედავად უდიდესი გაჭირვებისა და თავს მოხვეული უსამართლობისა, უშურველად იბრძოლა და ყველაფერი გააკეთა, რათა არა მარტო ახლობლებისთვის, არამედ სრულიად უცხო ადამიანებისთვისაც უდიდესი სიხარული ეჩუქებინა, გაჭირვების წუთებში მათ გვერდით მდგარიყო, საკუთარი პრობლემები დაევიწყებინა ან დროებით გვერდით გადაედო და ყველაფერი გაეღო იმისთვის, რათა, თუნდაც ერთი ბედნიერი დღე ეჩუქებინა სხვისთვის. ასეთი ადამიანი გახლავთ მუსიკოსი, შესანიშნავი კომპოზიტორი და მრავალი სიმღერის ავტორი, ქალბატონი გიული ერგემლიძე, რომელიც ემიგრანტია, ცხოვრობს და მოღვაწეობს საფრანგეთში და სამშობლოს სულ ახლახან, როგორც იტყვიან, ორიოდე დღით ეწვია...

საშინელ 90-იან წლებში, როდესაც საქართველო უსამართლობამ, განუკითხაობამ, ძმათამკვლელმა ომმა და სამოქალაქო დაპირისპირებებმა მოიცვა, ყოველივე ეს გუილის ოჯახსაც შეეხო, როგორც კანონიერი ხელისუფლებისა და პირველი პრეზიდენტის მომხრეს. კონსერვატორია წარჩინებით დამთავრებულმა მუსიკოსმა ვერ გაუძლო ზეწოლასა და წნეხს მავანთა მხრიდან და სამშობლო იძულებით დატოვა. თავისი დაუღალავი შრომით, ოპტიმიზმითა და სხვათა დახმარებით განსაკუთრებული ნიჭით შეძლო, ღირსეულად დაემკვიდრებინა თავი უცხოეთში, გზაზე დაეყენებინა და დაეოჯახებინა შვილები. განსაკუთრებით, როგორც ზევით ვახსენე, მისი გულისხმიერება და სხვათა ტკივილის გათავისება მინდა გამოვყო – სამიათასამდე სიმღერა, მუსიკალური კომპოზიცია შექმნა ორი წლის მანძილზე იმისთვის, რომ აქედან შემოსული თანხით ხელი გაემართა სამშობლოში უსახსროდ დარჩენილი მეგობრისთვის. იმდენი შეძლო, რომ თავად ემიგრანტმა, უცხოეთში წაიყვანა და ახლა იქ განაგრძობს მის მხარდამხარ დგომას... და რამდენი ამგვარი დახმარება შეიძლება გაიხსენონ ადამიანებმა, თუნდაც მათ, ვინც გიული ერგემლიძის ქველმოქმედება-დახმარება მხოლოდ სხვათა მონათხრობით იციან.

იგი მუდამ სიკეთეს თესავდა, უამრავ სიურპრიზს უმზადებდა და უმზადებს თანამემამულეებს და გაზეთის საშუალებით მსურს, ეს მოფერება საჩუქრად გავუკეთო მას, ვუსურვო წარმატებები, ბედნიერი და ლამაზი წლები, სამადლობელი ვუთხრა იმ დაუვიწყარი ჰანგებისთვის, რომელსაც ხალხისთვის ქმნის და მადლიანი მუსიკით უმსუბუქებს და ულამაზებს ცხოვრებას არა ოდენ ქართველ ემიგრანტებს და სამშობლოში დარჩენილ მეგობრებს, არამედ სრულიად უცხო ადამიანებს, რომლებმაც მუსიკისა და სიყვარულის მადლი იციან...

მანანა კორძახია

◎ ევრობასკეტის წინ

დღეს და ხვალ

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება თბილისში განაახლა. ილიას ზუროსის გუნდი ისრაელის ნაკრებთან სპარინგებისთვის ემზადება.

ქართველი კალათბურთელები მეტოქეს 12 და 13 აგვისტოს ორჯერ უმასპინძლებენ და ორივე მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. საინტერესოა, რომ ამ ორი ტესტ-მატჩიდან მხოლოდ პირველი იქნება ღია, ხოლო მეორე მედიისა და გულშემატკივრებისთვის დახურული იქნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ნაკრებს შეუერთდა **სანდრო მამუკელაშვილი,** რომელიც გუნდთან ერთად ემზადება.

საქართველოს ნაკრები ისრაელთან მატჩების შემდეგ საბერძნეთში გაემგზავრება, სადაც აკროპოლისის თასზე ითამაშებს, აგვისტოს ბოლოს კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჯერ ნიდერლანდებს უმასპინძლებს და მერე იტალიას ესტუმრება. ილიას ზუროსის გუნდი 1-7 სექტემბერს, თბილისში, ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შეხვედრებსაც გამართავს და ჯგუფში საუკეთესო ოთხეულში თუ მოხვდება, პლეი-ოფში გავა.

◎ ტატამზე

ვერცხლიც, ბრინჯაოც...



ეკვადორის ქალაქ გუაიაკილში ძიუდოში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი შედეგიანად დაიწყო საქართველოს ნაკრებისთვის, რომლის პირველ საშეჯიბრო დღეს ტატამზე ორი ქართველი გავიდა — გიორგი სარდალაშვილი და თორნიკე მაზიაშვილი და ორივემ მედალი მოიპოვა.

60 კგ წონით კატეგორიაში **გიორგი სარდალაშვილმა** ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. მან ფრანგი ენცო ჟანი, კოლუმბიელი ოსკარ მორატო, ისრაელის წარმომადგენელი იამ ვოლჩაკი და ბრაზილიელი მიშელ აუგუსტო დაამარცხა, ფინალში კი იაპონელ ტაიკი ნაკამურასთან ვერაფერი გააწყო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ასევე 60 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა **თორნიკე მაზიაშვილი,** რომელმაც რუმინელი ალექსანდრუ მატეი და ავსტრიელი მარკუს ოერი დაამარცხა, შემდეგ კი ფრანგ რომან ვალადიესთან დამარცხდა, თუმცა რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც ჯერ ტაიპეის წარმომადგენელი ჩონგიუ ლი და მერე ბრაზილიელი მიშელ აუგუსტო დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

დღეს ტატამზე გიორგი ტერაშვილი, კოტე კაპანაძე (ორივე 73 კგ), გიორგი ჯაბნიაშვილი (81 კგ), ნინო ლოლაძე (57 კგ) და ეთერ ასკილაშვილი (63 კგ) გავლენ.

საფეხბურთო მოზაიკა

ესპანურმა „ვალენსიამ“ იასპერ სილესენისა და გონსალო გედეშის, შესაბამისად, „ნაიმეგენსა“ და „ვულვზში“ გაყიდვის შემდეგ სამუ კასტილიეხოსა და სამუელ ლინოს ტრანსფერების ლა ლიგაში დარეგისტრირება შეძლო.

ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ **გიორგი მამარდაშვილი** „ღამურების“ პირველ გუნდში ისევ არაა დარეგისტრირებული და B გუნდის წევრადაა მოხსენიებული. ცხადია, ეს მხოლოდ ფორმალობაა და ამ გზით „ვალენსია“ ცდილობს, რომ პირველი გუნდისთვის თავისუფალი ადგილი დაიტოვოს, რომ თუ კიდევ ეყოლება ახალწვეულები, მათი დარეგისტრირება უფრო მარტივად შეძლოს.

მამარდაშვილი გასულ სეზონშიც B გუნდში იყო რეგისტრირებული და მას მთავარ გუნდში თამაში შეუძლია, რადგან ლა ლიგის რეგულაციით, თითოეულ გუნდს თამაშში B გუნდის 4 წევრის გამოყენება შეუძლია. 21 წლის ქართველი მეკარე ჯენარო გატუზოს „ვალენსიას“ პირველ მეკარედ მოიაზრება და 14 აგვისტოს, „ჟირონასთან“ სეზონის პირველ შეხვედრაშიც ძირითად შემადგენლობაში იქნება.

შეგახსენებთ, რომ ესპანური კლუბი ქართველ მეკარესთან კონტრაქტის განახლებასა და გამოსასყიდი თანხის 100 მილიონ ევრომდე გაზრდასაც აპირებს.

* * *

ახლა უკვე ოფიციალურად — ლუკა ლოჩოშვილი „კრემონეზეს“ ფეხბურთელია. სერია A-ს ვებგვერდმა ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონტრაქტი დარეგისტრირებულია. გარდა ამისა, ტრანსფერი „კრემონეზეს“ ვებგვერდმაც დაადასტურა.

ამრიგად, 24 წლის ქართველი მცველი ახალი სეზონიდან იტალიის სერია A-ში ითამაშებს და საერთოდაც, იტალიის ჩემპიონატში ორი ქართველი იქნება — ლოჩოშვილი და ხვიჩა კვარაცხელია. ლუკა მეოთხე ქართველია, რომელიც სერია A-ში ითამაშებს კახა კალაძის, ლევან მჭედლიძისა და ხვიჩა კვარაცხელიას შემდეგ. „კრემონეზე“ სერია A-ში ახლახან აღზევდა და ელიტაში 1995-1996 წლების სეზონის შემდეგ პირველად იასპარეზებს. კრემონელები პირველ ტურში 14 აგვისტოს „ფიორენტინას“ ესტუმრებიან. სხვათა შორის, მასიმილიანო ალვინის გუნდმა ბოლო ორ დღეში ლოჩოშვილის გარდა, „ლაციოდან“ გონსალო ესკალანტე და „ფეიენოორდიდან“ სირილ დესერსი გადაიბირა, რომელიც გასულ სეზონში 10 გოლით კონფერენს ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

შეგახსენებთ, რომ ლუკა ლოჩოშვილი 2020 წლიდან ავსტრიის „ვოლფსბერგერში“ თამაშობდა და 71 შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა. მანამდე ის „დინამო თბილისისა“ და სლოვაკური „ჟილინას“ წევრი იყო, ხოლო საქართველოს ნაკრებში ორი თამაში აქვს ჩატარებული.

* * *

ზოთა არველაძის „ჰალ სიტიმ“ მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი განიცადა. „ვეფხვები“ ინგლისის ლიგის თასს პირველივე წრეში გასვლაზე „ბრედფორდთან“ მარცხით გამოეთიშნენ.

„ჰალი“ იგებდა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს ორი გოლი გაუშვა და 1:2 წააგო. მატჩის შემდეგ ქართველმა სპეციალისტმა კომენტარი გააკეთა:

„საკმაოდ მტკივნეული მარცხია, რადგან ბიჭებისგან უფრო მეტს ველოდი. კარგად დავიწყეთ, მაგრამ პირველ ტაიმში მეტოქეს კუთხურის 9-ჯერ ჩაწოდების უფლება მივეცით. წინა მატჩისგან განსხვავებით 7 ფეხბურთელი შევცვალე, მაგრამ ყველა თავის პოზიციაზე თამაშობდა. მოთამაშეებმა უფრო თამამად უნდა იმოქმედონ და მეტი საგოლე მომენტი შექმნან. მინდა, ვიპოვოთ ერთობლივი ენერგია და საჭირო ხასიათი რეაგირებისთვის“, — თქვა არველაძემ.

შეგახსენებთ, რომ „ჰალ სიტიმ“ ჩემპიონშიფის საწყის ორ ტურში ოთხი ქულა დააგროვა, მესამე ტურში კი ხვალ „ნორვიჩს“ უმასპინძლებს.

* * *

კარიმ ბენზემამ 2022-2023 წლების სეზონი გოლით დაიწყო და ევროპის სუპერთასზე ფრანკფურტის „აინტრახტს“ გაუტანა (2:0). სამეფო კლუბი მეხუთე ტიტულით ბარსას და მილანს დაეწია.

ეს გოლი „რეალის“ მაისურით ბენზემასთვის 324-ე გამოდგა, რის შედეგადაც მან „სამეფო კლუბის“ ყველა დროის გოლეადორთა სიაში რაულს გადაასწრო და მეორე ადგილზე აღზევდა.

ფრანგმა ფორვარდმა 324 გოლის გატანას 2009 წლიდან დღემდე 606 მატჩი მოანდომა, ხოლო რაულმა 1994-2010 წლებში 741 თამაშში შეძლო 323 გოლის გატანა. აქვე გეტყვით, რომ „რეალის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი კრიშტიანუ რონალდუა, რომელსაც 450 გოლი აქვს გატანილი და ბენზემას მისი გადასწრების არცთუ დიდი შანსი აქვს.

* * *

„ბაიერნის“ პრეზიდენტმა, ჰერბერტ ჰაინერმა, უარყო ხმები „ტოტენჰემის“ კაპიტნის, ჰარი კეინის მიუნხენურ კლუბში შესაძლო ტრანსფერის შესახებ.

„ახლა შესანიშნავი გუნდი გვყავს — მოთამაშეთა საშუალო ასაკი 25-26 წელია. ბევრ მათგანს ხანგრძლივი ხელშეკრულებები აკავშირებს ჩვენთან და ყველაფერი კარგადაა, ამიტომ წყნარად შეგვიძლია ვიფიქროთ გუნდის გაძლიერებაზე.

განიხილებოდა თუ არა კეინის ტრანსფერი? არა. თუმცა ყოველგვარი წნეხის გარეშე ვაგრძელებთ ბაზარზე დაკვირვებას.“ — ციტირებს ჰაინერის სიტყვებს Bayern&Germany.

◎ ჭკუა ისწავლა

ჩემპიონის უარი

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ეროს ტყორცნაში, პოლონელ პაველ ფაიდეკს ფრენის შიში არ აწუხებს, მაგრამ თვითმფრინავით მგზავრობაზე მაინც უარის თქმა უწევს. ის მიუნხენში, სადაც მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, ავტომობილით გაემგზავრება. მიზეზი ისაა, რომ წინა ორი შეჯიბრის ადგილზე მგზავრობისას თავისი სპორტული ეკიპირება თვითმფრინავში დაკარგა.

„ბოლო თავგადასავლების შემდეგ, იძულებული ვარ უფრო უსაფრთხო ტრანსპორტი ავირჩიო“, — ამბობს ფაიდეკი, ვინც ახლახანს იუჯინში (აშშ) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. მაგრამ იქ ჩასვლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ბარგი, რომელშიც სპორტული ეკიპირება ჰქონდა, დაიკარგა. ბედად, ამან გამარჯვებაში ხელი ვერ შეუშალა.

იუჯინში ასპარეზობა კი შეძლო, მაგრამ საფრანგეთის სოტევიეში არენაზე ვერ გამოვიდა. ამ შემთხვევაშიც, მიზეზი ეკიპირების ბარგის დაკარგვა აღმოჩნდა. ამერიკიდან დაბრუნებულს ბარგი ერთი კვირის შემდეგ დააწიეს, მაგრამ მისი შიგთავსი წყლით იყო დაზიანებული. სხვათა შორის, იუჯინში მსგავსი პრობლემები სხვა პოლონელ ათლეტებსაც შეექმნათ.

„იმედი მაქვს, სხვა პოლონელ ათლეტებს, ვინც მიუნხენში თვითმფრინავით წასვლას გადაწყვიტეს, ამჯერად გაუმართლებთ“, — ამბობს ფაიდეკი.

◎ კორტზე

სერენას დაისი

ჩოგბურთის ლეგენდამ სერენა უილიამსმა გამოაცხადა, რომ აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ კარიერას დაასრულებს. მან პროფესიონალურ ჩოგბურთში 22 წელი გაატარა და დიდი სლემის 23 ტიტული მოიპოვა, რაც ერთით ნაკლებია ასევე ლეგენდარული ავსტრალიელის, მარგარეტ კორტის მიღწევაზე და ყველაზე მეტია მას შემდეგ, რაც ჩოგბურთი პროფესიონალური სპორტი გახდა.

ჟურნალ „ვოგის“ ფურცლებზე 40 წლის სერენა წერს, რომ მას ჩოგბურთი უყვარს, მაგრამ დრო მოვიდა იმისა, რომ სხვა საქმეებსაც მიხედოს. ეს ყველაზე ძნელი რამაა, რასაც კი ოდესმე წარმოვიდგენდიო.

„არ მინდა, რომ ეს დასრულდეს. მაგრამ იმავდროულად მზად ვარ შემდგომი ნაბიჯისთვის. სამწუხაროდ, უიმბლდონის მოსაგებად მზად არ ვიყავი და დარწმუნებული არ ვარ, რომ ნიუ იორკში ვიქნები მზად, მაგრამ ცდას ვაპირებ“, — ამბობს უილიამსი, ვინც დიდი სლემის ტურნირებზე ბოლო ტიტული 2017 წელს მოიგო და მას შემდეგ ოთხის ფინალში ითამაშა.

„ცერემონიების გამართვას არ ვაპირებ — დამშვიდობება არ მიყვარს, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ მადლიერი ვარ ყველასი, იმდენად, რომ სიტყვებით გადმოცემა არ შემიძლია. ამდენი გამარჯვება და ტიტული თქვენთან ერთად მოვიპოვე. ჩემი ეს ვერსია მომენატრება. იმ გოგოსი, ვინც ჩოგბურთს თამაშობდა. და მე თქვენ ყველანი მომენატრებით“, — ამბობს სერენა.

ის დასძენს, რომ ოთხი წლის შვილ ოლიმპიას ძალიან უნდა, რომ და ჰყავდეს. ოჯახსა და ჩოგბურთს შორის არჩევანის გაკეთება მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული გადაწყვეტილება იყო და ახლა ის სწორედ ოჯახის გაზრდაზე იფიქრებს.

თავისი კარიერის განმავლობაში სერენა უილიამსს დიდი სლემის 23 ტიტულის გარდა, მოგებული აქვს WTA-ს ტურის 73 ტურნირი, შვიდჯერ იყო ავსტრალიის ღიას, სამჯერ საფრანგეთის ღიას, შვიდჯერ უიმბლდონის და ექვსჯერ აშშ-ის ღიას ჩემპიონი.

ერთეულებში, წყვილებსა და შერეულ წყვილებში, ჯამში დიდი სლემის 39 ტიტულს ფლობს. თავის უფროს დასთან, ვენუსთან ერთად, წყვილებში დიდი სლემის 14 ტიტული მოიპოვა. ფლობს ოთხ ოლიმპიურ ოქროს მედალს. სიდნეიში (2000 წელს), პეკინსა (2008 წელს) და ლონდონში (2012 წელს) ოლიმპიური ოქრო წყვილებში აქვს მოპოვებული, ლონდონშივე კი ერთეულებშიც გაიმარჯვა.

319 კვირა გაატარა რეიტინგის სათავეში. ამასთან, ზედიზედ 186 კვირის განმავლობაში იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ეს კი რეკორდია, რომელიც მასთან ერთად კრის ევერტსაც ეკუთვნის.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

მოქალაქე ფარნაოზი მაჩიტიძის (პ/ნ 21001010555) შეტყობინების თაობაზე

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 213-ე კმ-ში ჩაწყვეტილი მიწის ვაკისის (რამპის) აღდგენის სამუშაოებს (შემდგომში - პროექტი).

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 05 აგვისტოს 1-1/339 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე ფარნაოზი მაჩიტიძის (პ/ნ 21001010555) (შემდგომში - მოქალაქე) საკუთრებაში არსებულ, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე, შემდეგ უძრავ ქონებაზე:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.259) მთლიანი ფართობის 894 კვ. მეტრის ნაწილიზე - 52 კვ. მეტრზე;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.226) მთლიანი ფართობის 1325 კვ. მეტრის ნაწილზე - 150 კვ. მეტრზე;
3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.238) მთლიანი ფართობის 2020

კვ. მეტრის ნაწილზე - 226 კვ. მეტრზე (შემდგომში ერთად - საექსპროპრიაციო ქონება). ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნულის თაობაზე მოქალაქის ინფორმირების მიზნით, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (2022 წლის 10-11 აგვისტოს 115-116 (9453-9454)) გამოქვეყნდა დეპარტამენტის განცხადება.

დეპარტამენტი მიუთითებს, რომ უახლოეს მომავალში მიმართავს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

დეპარტამენტი თხოვს მოქალაქეს, რომ გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 213-ე კმ-ში ჩაწყვეტილი მიწის ვაკისის (რამპის) აღდგენის სამუშაოებს (შემდგომში - პროექტი).

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 05 აგვისტოს 1-1/339 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე ფარნაოზი მაჩიტიძის (პ/ნ 21001010555) (შემდგომში - მოქალაქე) საკუთრებაში არსებულ, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე, შემდეგ უძრავ ქონებაზე:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.259) მთლიანი ფართობის 894 კვ. მეტრის ნაწილიზე - 52 კვ. მეტრზე;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.226) მთლიანი ფართობის 1325 კვ. მეტრის ნაწილზე - 150 კვ. მეტრზე;
3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.238) მთლიანი ფართობის 2020

კვ. მეტრის ნაწილზე - 226 კვ. მეტრზე (შემდგომში ერთად - საექსპროპრიაციო ქონება). ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნულის თაობაზე მოქალაქის ინფორმირების მიზნით, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (2022 წლის 10-11 აგვისტოს 115-116 (9453-9454)) გამოქვეყნდა დეპარტამენტის განცხადება.

დეპარტამენტი მიუთითებს, რომ უახლოეს მომავალში მიმართავს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ანა აფციაურის (პ/ნ 12701109040), ბაჩანა აფციაურის (პ/ნ 12001091594), თორნიკე აფციაურის (პ/ნ 12301109041), ნიკოლოზ აფციაურის (პ/ნ 12001026682), თემური აფციაურის (პ/ნ 30101011660), ოლდა უერთაშვილის (პ/ნ 12001090192), რუსუდან აფციაურის (პ/ნ 36001039207) და ტასო აფციაურის (პ/ნ 33001062360) (შემდგომში - მოქალაქეები/თანამესაკუთრეები/მესაკუთრეები) თანასაკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაზიანში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 5000 კვ.მ. ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.28.801) (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 08 აგვისტოს 1-1/342 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება

მოქალაქეების ანა აფციაურის (პ/ნ 12701109040), ბაჩანა აფციაურის (პ/ნ 12001091594), თორნიკე აფციაურის (პ/ნ 12301109041), ნიკოლოზ აფციაურის (პ/ნ 12001026682), თემური აფციაურის (პ/ნ 30101011660), ოლდა უერთაშვილის (პ/ნ 12001090192), რუსუდან აფციაურის (პ/ნ 36001039207) და ტასო აფციაურის (პ/ნ 33001062360) თანასაკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაზიანში მდებარე, სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების, 5000 კვ.მ. ფართობის, მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.10.28.801).

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ვაზიანი-საგარეჯოს (კმ4+040-კმ27+840) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე თემური ცათიაშვილის (პ/ნ 08001002430) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1015 კვ. მ. ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.27.883) (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 08 აგვისტოს 1-1/342 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე თემური ცათიაშვილის (პ/ნ 08001002430) საკუთრებაში არსებულ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1015 კვ.მ. ფართობის, მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.10.27.883).

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ქართული ჟურნალისტიკის სინდისი

ამ რამდენიმე წლის წინათ ოთარ ხუციშვილის ერთ-ერთ წონიან, ყველაზე სრულყოფილ კრებულს ვუწინამძღვრე.

მაშინ გულწრფელად ვწერდი:

წინასიტყვაობა წიგნის ავტორის სულის გასაღებია. უწინასიტყვაობო წიგნი უგულო კაცსა ჰგავს.

ოთარ ხუციშვილის სულის გასაღები თუ გინდათ იპოვოთ, ეს წიგნი ჩემსავით სულმოუთქმელად უნდა წაიკითხოთ. განსაკუთრებით კითხვა გადაჩვეულ და ოდენ კომპიუტერს მიშტერებულ ახალგაზრდა მწერლებს და ჟურნალისტებს გამოადგებათ გამოცდილი, კალამმოუღლელი, წარმოუდგენლად ხელხვავიანი პუბლიცისტის ეს ნაწერ-ნააზრევი.

ვინ არის ოთარ ხუციშვილი? ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეტყვით, იშვიათად შემხვედრია მასზე უფრო თავაზიანი, უბრალო, კასკასა იუმორით და სიკეთით გამორჩეული შემოქმედი. ოჯახიდან თანდაყოლილი და ღვთისგან ბოძებული სინდის-ნამუსი, პატიოსნება და გონიერება.

ივანე ჯავახიშვილის დედაუნივერსიტეტში მიღებული ფილოსოფიური განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაღდასმული ინტელექტი მისი ზნეობრივი სიმაღლის ფუნდამენტი გახდა.

ოთარ ხუციშვილის პუბლიცისტური წერილები, ცხოვრებისეული ნატურიდან ნასაზრდოები სატირულ-იუმორისტული ნოველები, მოთხრობები და ფელეტონები ნახევარ საუკუნეზე მეტია, გულს უხარებს მადლიერ მკითხველს.

მართალია, ამ კრებულის ავტორმა მრავალი სახელოვანი (ახმეტის, თელავის, გარდაბნის) გაზეთის რედაქტრობასა და რიგით ჟურნალისტობას უძღვნა ლამის მთელი სიცოცხლე, მაგრამ... დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი მემატიანე, თითქმის საუკუნოვანი „საქართველოს რესპუბლიკა“ მაინც სხვა სახლი და ნანინანატრი რედაქციაა მისთვის. ამ სოლიდურ კრებულში შეტანილი ყველა წერილი, სტატია, ინტერვიუ თუ იუმორისტული ნამცვრევი, რომლებიც დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო ათწლეულის რეფორმატორულ ძვრებთან ერთად შეუფერადებლად წარმოაჩენენ ნაცების ძალმომრეობით დაღდასმული ქვეყნის ნაცრისფერი დღეების ტრაგიზმს, პერმანენტულად იბეჭდებოდა „საქართველოს რესპუბლიკაში“.

როგორია ოთარ ხუციშვილის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ იუმორისტული კრედო? ის ემყარება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის ღირსეული მფლობელის, ერთიერთმანეთზე უკეთესი წიგნების ავტორის ესთეტიკურ მრწამსს — წეროს სიმართლე, წეროს დამაჯერებლად, წეროს მიმზიდველად.

მომნუსხველია წიგნის ავტორის ენობრივი ლექსიკა, მდიდარი და ჯავარიანია მისი სტილი. რაც უნდა სპეციფიკურ თემაზე წერდეს, ის ცდილობს, უცხო სიტყვებს აარიდოს დედატექსტი. უდავოდ უფლის წყალობაა, რომ ოთხმოცს გადაბიჯებული ოთარ ხუციშვილი კვლავაც მხნედ არის, კალმის ქარქაშში ჩაგებას არ აპირებს და ხშირად გვახსენებს: ჭკუა თავშია და არა ხანში!

გმადლობთ მაგალითისთვის, მეგობარო!

სპარტაკ ქოგულია,
2018 წ.

P. S. გმადლობთ, თითქმის საუკუნოვანი არსებობისთვის ქართული ჟურნალისტიკისა და მწერლობის, ქართული თვალადური სიტყვის სინდისო, კაცობისა და მიმტევებლობის მაგალითო!

მსუბუქი იყოს შენთვის წინაპართა სისხლით და ოფლით გაჟღენთილი კახეთის მიწა...

12 აგვისტო, 2022 წ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი კოლეგის

ოთარ ივანეს ძე ხუციშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა შაბათს, 13 აგვისტოს, სოფელ რუისპირში, 14 სთ.



საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიების ლაურეატის, ცნობილი პუბლიცისტისა და მწერლის

ოთარ ხუციშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და სანათესაოს.

ვემშვიდობებით შესანიშნავ მოქალაქეს, ქართული ჟურნალისტიკის ბრწყინვალე წარმომადგენელს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრს, ამაგდარ ადამიანს, დიდი ოჯახის თავკაცს, უღალატო მეგობარს

ოთარ ხუციშვილს

ბატონი ოთარის საქართველოს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, რამდენიმე ათეული წლების პანძილზე, მაგალითი იყო მაღალი პროფესიონალიზმისა, ქართული ეკონომიკის ძირფესვიანად მცოდნე ანალიტიკოსისა, ხოლო მისი მოთხრობები, პუბლიცისტიკა და არაჩვეულებრივი იუმორით გაჯერებული ნარკვევები — ყველასათვის დასამახსოვრებელი და ყურადსაღები.

ოთარ ხუციშვილის სახით საქართველომ დაკარგა შესანიშნავი პატრიოტი, ოჯახსა და ახლობლებზე თავდადებული, მოსიყვარულე ადამიანი. ერთადერთი ვაჟკაცის უდროოდ დაღუპვამ მართლაც გატეხა ასაკოვანი, მაგრამ მუდამ ახალგაზრდული სულითა და ენერგიით სავსე პიროვნება. პირადად მე — უფროსი მეგობარი და დამრიგებელი .

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული

მალხაზ დოლიძე,
საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე

ჩვეულებრივობით არაჩვეულებრივი

საუკუნეს ოთხმოცდაათი წელიწადი ჩამოატეხა. 2022 წლის 4 აპრილს 90 წლისა შესრულდა. შაბათს მშობლიურ რუისპირში ცოლ-შვილის გვერდით დაკრძალავენ.

პური როგორც არ უნდა გამოაცხო და რა სახეც არ უნდა მისცე, თავისი დანიშნულებით მაინც პურია და ამდენად იქნებ გადამწყვეტი არც იყოს, როგორ გაომიყურება. თუმცა პურის სახე ხშირად გემოს განმსაზღვრელიც არის. დედას პური, მაგალითად, თონეში გამომცხვარი, თანაც შეშაზე. ელექტროობასა და გაზს პურის გემო მაინცდამაინც ვერ ეულლება.

ეს პატარა შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ ჩემი ძველი მეგობრის, ბუნებით ყოველთვის მწერლის, მაგრამ დღევანდელ დაფახფახებულ მწერალთა კავშირში უკვე ცხოვრების დაისზე გაწევრებული ოთარ ხუციშვილის სიტყვა სწორედ კახური დედას პურისთვის შემედარებინა, თუმღაცა, მართალი თუ გინდათ, თავად იმისმა სიტყვამ მოითხოვა ეს შედარება.

ვინც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე უკვე არა ერთი და ორი წელიწადი თვალყურს ადევნებს ოთარ ხუციშვილის „თითქმის ნატურიდან“ და „ელამი სარკიდან“, ანუ ცხოვრებიდან „გამოხატულ“ სევდიანად მხიარულ ფრიად ტკბილ-მწარე პატარ-პატარა ამბებს, მჯერა, მიკერძოებულ გაზვიადებად არ ჩამითვლის ხსენებულ შედარებას, ვინაიდან ეს ჩვენი „თითქმის მენატურე“ სწორედ ამ პურივით ყუათიანი, მაწიერი სიტყვით, უფრო სწორად, ხუმარსიტყვით ინადირებს დღევანდელი მკითხველის ერთგვარად „გახეშეშებულ“ გულს.

თავად ოთარ ხუციშვილს მწერლობა არცროდის უფიქრია, მთელი თავისი დღე და მოსწრება სულ ჟურნალისტიკაში ტრიალებს და სწორედაც ჟურნალისტიკის სათვალთვალო კოშკიდან გადმოსცქერის მიწყივ მართლაც ჭრელსა და უბარაქო წუთისოფელს. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ოთარ ხუციშვილს თავისი შეხედულება აქვს მწერლობასა და ჟურნალისტიკაზე. თუკი მწერლობა ჟურნალისტიკისკენ, ხოლო ჟურნალისტიკა მწერლობისკენ არის მიდრეკილიო, ენაკვიმატობს ხოლმე, აქ ისეთივე მსგავსება და სხვაობაა, როგორც კორროლიოკსა და ხურმას შორის. არადა ბევრისთვის კოროლიოკი ხშირად მართლაც ძნელი გასარჩევია ხურმისგან, ანდა პირიქით. შენ ხილი იხილე, მეხილე რა შუაშიაო, თითქოს ზედგამოჭრილად ამაზეა თქმული.

ოთარ ხუციშვილის ერთ კრებულად აკინძული ეს პატარ-პატარა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, სევდიანად მხიარული ფრიად და ფრიად ტკბილ-მწარე ცხოვრებისეული ამბები უწინარესად ამ „დილემის“ წინაშე გვაყენებს.

ჩვენც ავდგეთ, დღევანდელო მკითხველო, და ხილი ვიხილოთ, უცილოდ გემრიელი, ჩვენი ყოველდღიურობის კარგა გვარიანად შეჭმაქული ხიდან გულუხვად ჩამოკრეფილი, თავად მეხილის ამბავი კი, უფრო მწერალია თუ ჟურნალისტი, ხვალიდან დღის მკითხველმა იკითხოს.

ისე, ჩვენში დარჩეს და, რა დიდი ბედენაა, კარგი ჟურნალისტი ხარ თუ კარგი მწერალი. ცუდი არც ერთი ვარგა და არც მეორე. მთავარი სიკარგეა. ზოგი, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწში ძვრება, ოღონდ არაჩვეულებრივი გამოჩნდეს, მაგრამ ამაოდ იჭირვებს. ოთარ ხუციშვილის სიტყვა კი ტრადიციულად ჩვეულბრივია და არაჩვეულებრივობასაც ამით აღწევს ჟურნალისტიკისა და მწერლობის შუა გამავალ ზღვარზე.

ვემშვიდობებით ძვირფას მეგობარს, რომელიც ხორციელად ჩვენთან აღარ იქნება, მაგრამ სულიერად დაგვიტოვა დიდი განძი — სამუდამო ტკბილ-მწარე ღიმილი...

გურამ გოგიაშვილი

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

სულთათანა

თენგიზ (მიჩურინა) ქოიავა

თბილისს, ვერის უბანს კიდევ ერთი ნაღდი ქალაქელი კაცი დააკლდა, ვინც თენგიზს იცნობდა, რომელსაც სიყვარულით მიჩურინას ეძახდნენ, ძნელი წარმოსადგენია, თვალზე ცრემლითა და ყელში გაჩხერილი დარდის გორგალით არ გაიხსენოს მისი კაცობა, მეგობრობა, დარდიმანდობა, ოჯახიშვილობა, ტრადიციებისა და ქალაქური წესის ერთგულება.

ყველასთვის ხელისშემწყობსა და გვერდში მდგომს ცხოვრებამ უდიდესი ტკივილიც დაატეხა თავს — უდროოდ დაღუპული ვაჟისა და 21 წლის შვილიშვილის სახით.

საქართველოს ყველა კუთხეში ჰყავდა დიდი და თავისი ხასიათის სამეგობრო. ცნობილ ჯუმბერ ნიკურაძესთან ძმობითა და მეგობრობით, მთელმა სამტრედიამაც შეიყვარა და თავისიანად აქცია ბატონი თენგიზი.

ოჯახს გამოაკლდა შესანიშნავი მეუღლე, შვილს — ერთგული და მზრუნველი მამა, ვერის უბანსა და სამეგობროს — იმედი და სიყვარულის კაცი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ავალიშვილი ზაქრო, ახოგაძე მერაბი, ბერაძე ივა, ბრეგვაძე ოთარი, გვასალია კუკური, გოგიბერიძე თემური, დაუშვილი თამაზი, ვეფხვაძე ვახტანგი, თოფაძე გოგი, თოფურიძე მურიკო, იოსელიანი გუგა, კაკულია გურამი, კეკელიძე კოკი, კვირკველია ზაური, მათეშვილი გია, მარგველაშვილი მერაბი, მაჭარაშვილი სოსო, მგალობლიშვილი შალვა, მხეიძე გოგი, ნანიკაშვილი შედანი, ოლლიშვილი ალეკო, ოსიყმაშვილი ომარი, პაიჭაძე ომარი, სიამაშვილი ომარი, ყიფიანი დემური, შავდია გიჭი, შულაროვი გივი, შულლიაშვილი რეზო, ხუციშვილი ილო, ჯანაშია ლაური.

მურმან ქუთელია, ანზორ თოთაძე, ომარ შურღაია და ნათელა ქიმერიძე მწუხარებით იუწყებიან მეგობრის, პროფესორ

გურამ კვიკვინიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ახლობლებს და მეგობრებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1969 წლის კურსდამთავრებულები ბადრი ბარკალაია, გია ციხისთავი, ომარ აბულაძე, ლალი მაისაშვილი, დალი და გივი ხელაშვილები, ლუარა ლეჟავა, მიშა კახაძე, ცისანა ჩაკვეტაძე, ნიკო ხაბალაშვილი, ისაკი პაპიაშვილი, თინა ჯანიაშვილი, ემა ოგანოვა, ვარდიკო ბერაშვილი, გურამ ჩიქოვანი, იოსებ არაბული, ჟუჟუნა ნაცვლიშვილი, ნათელა თამაზაშვილი, მეგი გოქსაძე, ნუნუ შუკაკიძე, ცაცა დუდაშვილი ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ საყვარელი მეგობრის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ზაირა (იზა) ივანეს ასული ოთარაშვილის

გარდაცვალების გამო, რომლის სიცოცხლეც ულმობელმა სენმა შეიწირა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩვენ კი, შენი მეგობრები, არასდროს დავივიწყებთ შენს ღირსეულ სახელს.

ტაივანმა ჩინეთის წინადადება უარყო



ტაივანმა უარყო ჩინეთის მიერ შეთავაზებული მოდელი „ერთი ქვეყანა — ორი სისტემა“, რომელიც ჩინეთთან ტაივანის გაერთიანებას ითვალისწინებს, — ამის შესახებ Reuters-ი იტყობინება.

„ტაივანი კატეგორიულად ეწინააღმდეგება „ერთი ქვეყანა — ორი სისტემის“ იდეას. მხოლოდ ტაივანის ხალხს შეუძლია, საკუთარი მომავალი განსაზღვროს“, — განაცხადა ტაივანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჯოან ოუმ.

„ერთი ქვეყანა — ორი სისტემის“ მოდელის საფუძველზე ჩინეთის შემადგენლობაში შესვლის შეთავაზებას ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს მიერ 10 აგვისტოს გამოქვეყნებული „თეთრი წიგნი“ შეიცავდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ტაივანისა და ჩინეთის „გაერთიანება“ გარდაუვალია და რომ პეკინი საკითხის ძალისმიერი გზით გადაჭრას არ გამორიცხავს. ტაივანის გარშემო სიტუაცია მას შემდეგ გამწვავდა, რაც კუნძულს აშშ-ის სახელმწიფო ვიზიტით აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე ნენსი პელოსი ეწვია. ამ ვიზიტის შემდეგ ჩინეთმა ტაივანის მახლობლად მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო და სანქციების დაწესება დააანონსა.

მოდელი „ერთი ქვეყანა — ორი სისტემა“ ჰონგკონგში მოქმედებს, რომელიც ჩინეთის შემადგენლობაში 1997 წელს შევიდა.

არესტოვიჩს ზელენსკობა სურს

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველმა, ალექსეი არესტოვიჩმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის თანამდებობაზე იყრის კენჭს, თუ ქვეყნის მოქმედი ლიდერი ვოლოდიმირ ზელენსკი მეორე ვადაზე არ წავა, — ამის შესახებ არესტოვიჩმა დმიტრო გორდონთან ინტერვიუში განაცხადა.

„ყველა საუბრობს ჩემს რაღაც ძალიან მაღალ რეიტინგზე, მაგრამ ახლა ჩემი რეიტინგი არის პრეზიდენტ ზელენსკის რეიტინგი. მე საკუთარ თავს პრეზიდენტისგან არ ვაცალკევებ და არასოდეს ვლალატობ ადამიანებს, რომლებთანაც ვმუშაობ. თუ ის მეორე ვადაზე წავა, რა თქმა უნდა, მე არ ჩავერევი. თუ არ წავა — მაშინ ვიფიქრებ. მე ეს მაინტერესებს“, — განაცხადა არესტოვიჩმა.

რუსეთმა უკრაინაში 12 ტრილიონი დოლარის წიაღისეულის საბადო დაიკავა

უკრაინაში შეჭრის შედეგად, რუსეთმა უკრაინის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული საბადოები დაიკავა. კანადური საკონსულტაციო კომპანიის ItwDtd-ის ანალიზის მიხედვით, რუსეთის მიერ ოკუპირებული წიაღისეულის ღირებულება დაახლოებით 12,4 ტრილიონ დოლარად არის შეფასებული.

ქვანახშირის საბადოების უდიდესი ნაწილი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ამარაგებდა უკრაინის კრიტიკულ ფოლადის ინდუსტრიას, აღმოსავლეთშია კონცენტრირებული. აღნიშნული საბადოები, სხვა ძვირფასი ენერგიისა და მინერალების საბადოებთან ერთად, რუსეთის ხელშია. აღნიშნულ მინერალებს კი გამოიყენებენ ყველა მიმართულებით, თვითმფრინავის ნაწილებიდან სმარტფონებამდე. კომპანია SecDev-ის წარმომადგენლებისა და უკრაინის სამთო და ფოლადის ინდუსტრიის ლიდერების თქმით, რუსეთმა უკრაინას წაართვა 41 ქვანახშირის საბადო, 27 ბუნებრივი გაზის საბადო, 14 პროპანის საბადო, 9 ნავთობის საბადო, 6 რკინის საბადო. 2 ტიტანის საბადო, 2 ცირკონიუმის საბადო, 1 სტრონციუმის უბანი, 1 ლითიუმის ადგილი, 1 ურანის უბანი, 1 ოქროს საბადო და მნიშვნელოვანი კირქვის კარიერი, რომელიც ადრე უკრაინაში ფოლადის წარმოებისთვის გამოიყენებოდა.

საერთო ჯამში, რუსეთის კონტროლის ქვეშ არის მინიმუმ 12,4 ტრილიონი დოლარის ღირებულების უკრაინის სიმდიდრე.

ექსპერტების თქმით, თუ კრემლი დაპყრობილი უკრაინის ტერიტორიის ანექსიას მოახერხებს, კიევი მისი საბადოების თითქმის ორ მესამედზე წვდომას სამუდამოდ დაკარგავს. უკრაინა ასევე დაკარგავს ბევრ სხვა რეზერვს, მათ შორის ბუნებრივი აირის, ნავთობისა და იშვიათი დედამიწის მინერალების საწყობებს, რომლებიც მაღალტექნოლოგიური კომპონენტებისთვის არის საჭირო.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 16 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7086; ევრო - 2.7728
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2752;
100 რუბლი - 4.4688; თურქული ლირა - 0.1522;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5974;
1000 სომხური დრამი - 6.6797.

ამინდი 12 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+35
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+16	დღე	+35
თბილისი:	ღამე	+23,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge